# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 6 თებერვალი, 2009 წელი.

№ 22 (6123)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respubl

ფასი 50 თეთრი.


## რა კარგი იყო მაშინ, ერთად ვიყავით როცა(?!)




4

## ათი ათასის 67 პროცენტია მეტი თუ 67?



ვინ ტყუის - რუსული ინტერნეტსაიტი თუ საქართველოს პრეზიდენტი? 2

## 3 მეართველი გუნდის შეუქცევადი რღვევა

ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს

## რატომ ვულახავთ ადამიანს კონსტიტუციურ უფლებებს?!



5

## ახალი პრემიერი საჯარო შეურაცხყოფაზე „აცრილია“

2

გილაურსა და სააკაშვილს შორის დაპირისპირება გამორიცხულია, ანუ ,,რა ატამი, რი ატამი?!“









## ობიექტურად შეიქმნა ვითარება, როდესაც პოლიტიკურად მიზანშეწონილია, რომ ხელისუფლება გადადგეს

4



ბორის სოკოლოვი:

## რუსეთს საგარეო მტერი სჭირდება, თანაც არც ისე ძლიერი, ამ როლისთვის კი საქართველო იდეალური ქვეყანაა

3

ინფორმაცია

## „თბილისის წყალი“ რუსებს მიჰყიდეს და ახლა თანამშრომლებს ათავისუფლებენ

**„ლეიბორისტები“ კომპანია „თბილისის წყლიდან“ თანამშრომლების დათხოვნასა და წყლის ხარისხის მაკონტროლებელი ლაბორატორიების გაუქმებას აპროტესტებენ.**

**როგორც პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა „ლეიბორისტულ პარტიას“ შპს „თბილისის წყლიდან“ დათხოვნილმა თანამშრომლებმა მიმართეს, რომლებიც აცხადებენ, რომ ლაბორატორიიდან გაუშვეს და ლაბორატორიებიც გაუქმდა.**

**გუგავას თქმით, „თბილისის წყალი“ პრეზიდენტმა სააკაშვილმა პირდაპირი მიყიდვის წესით რუსულ კომპანიას მიჰყიდა და ახლა თანამშრომლებს მასობრივად ათავისუფლებენ. გარდა ამისა, გაუქმებულია წყლის ხარისხის მაკონტროლებელი ლაბორატორიები, რაც მოსახლეობის ჯანმრთელობას საფრთხეს აუცილებლად შეუქმნის.**

**მისივე განცხადებით, შპს „თბილისის წყლის“ ადმინისტრაციას რუსეთიდან თანამშრომლები ჩამოჰყავს, რომლებსაც ხელფასი 5-დან 20 ათას ლარამდე ექნებათ, „თბილისის წყალში“ დარჩენილ თანამშრომლებს კი აიძულებენ სამ-ოთხ ცვლაში იმუშაონ, რაც შრომითი ხელშეკრულების და კანონმდებლობის უხეში დარღვევაა.**

ინტერპრესნიუსი

ეჭვო, საიდან მოდიხარ!

# ათი ათასის 67 პროცენტია მეტი თუ 67?

## ანუ ვინ ტყუის – რუსული ინტერნეტსაიტი თუ საქართველოს პრეზიდენტი?



**კარგი ფილმია „ღიმილის ბიჭები“. მისი ერთი ეპიზოდი გამახსენა გუშინ საქართველოს პრეზიდენტის ტელევიზიით გამოსვლამ.**

**ხომ გახსოვთ სახლის სახურავზე მოკალათებული ფილმის გმირები, რომელთაგან ერთი ეკითხება მეორეს: „ორ ორთქმავალს მეტი ძალა აქვს თუ ერთს?“**

**ისიც გეხსომებათ, როგორ გამოენთო კითხვის დამსმელი „გენიოსას“ ასეთი პასუხისთვის — „გააჩნია, რა შემთხვევაში“.**

ეჰ, სადაა ახლა ერთი ისეთი „გამომნთები!..“

რამ მომანატრა იგი? რამ და, საქართველოს პრეზიდენტის ზემოხსენებულმა სატელევიზიო გამოსვლამ, რომლის დროსაც მას უბრძანებია:

**რუსებს რუსეთში მცხოვრები ათი ათასი ქართველი გამოუკითხავთ იმის გასაგებად, მხარს უჭერენ თუ არა ისინი საქართველოს ოპოზიციის მოთხოვნას თანამდებობიდან სააკაშვილის გადადგომის თაობაზეო. დიდი საშიშროებისა და ზეწოლის მიუხედავად გამოკითხულთა 67 პროცენტი ამის წინააღმდეგი ყოფილაო.**

სხვა საკითხია, ყველას ერთნაირად მოეწონა თუ არა საქართველოში ეს ცნობა, მაგრამ საქმე, ვგონებ, სულ სხვანაირად ყოფილა: **გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულია საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსის“ ინფორმაცია, რომელიც რუსულ ინტერნეტსაიტ „სეგოდნიაზე“ დაყრდნობით იუწყება, რომ იმ გამოკითხული 10000 ქართველიდან სააკაშვილის გადადგომის წინააღმდეგი ყოფილა მხოლოდ 67 რესპონდენტი ( და არა გამოკითხულთა 67 პროცენტი!), 154-ს თავი შეუკავებია, 9779-ს კი სააკაშვილის გადადგომის სურვილი გამოუთქვამს.**

სწორედ ამის გათვალისწინებით დავსვათ ახლა კითხვა: **ათი ათასის 67 პროცენტია მეტი თუ 67?**

**გააჩნია, რა შემთხვევაში!..** — უთუოდ გვიპასუხებენ მიშა და მიშისტები.

თანაც, ალბათ, ერთ ასეთ წყალგაუვალ არგუმენტს მოიყვანენ საკუთარი პოზიციის გასამართლებლად და განსამტკიცებლად: რუსები მუდამ დეზინფორმაციას ავრცელებენ და ეს „სეგოდნიაც“ მატყუარაა, ცრუ ინფორმაციას გვჩრისო!

**კი, ბატონო, მწარე გამოცდილებით ვიცით, რომ მარტო რუსული ინტერნეტსაიტი „სეგოდნია“ კი არა, მთლიანად რუსული სახელმწიფო მანქანა ტყუის სეგოდნია, იტყუებოდა ვჩერა და უსინდისოდ იცრუებს ზავტრაც, მაგრამ, თავის მხრივ, სამწუხაროდ, ჩვენი პრეზიდენტიც რომ არ გამოირჩევა შვეიცარიული საათის სიზუსტით რაიმეს შეფასება-შედარებისა თუ დასკვნების დროს?**

რომელი ერთი გავიხსენო ამის საილუსტრაციოდ: **— თბილისის აეროპორტი მიუნხენისას სჯობსო(?!); განმუხურის პატრიოტთა ბანაკი არტეკზე უკეთესიაო(?!!); ჩოლოქთან რომ პარკი გავაშენეთ, იმისი ბადალი რუსეთში კი არა, ევროპაშიც არა აქვთო(?!!!)...**

განვაგრძო მსგავსი „მარგალიტების“ ჩამოთვლა?

სანამდეც მიგვიყვანა ამნაირმა „სიმართლის“ თქმამ და „მართალი სამართლის ქმნამ“, კარგად ვხედავთ!

სწორედ ამის გამოც არის ხალხი დადარაჯებული პრეზიდენტის ლამის ყოველ გამონათქვამთან დაკავშირებით – მართალი თქვა თუ კვლავ რაიმე დააბრეხაო!

ამიტომაც შეეპარა ძალიან ბევრს ეჭვი მისი გუშინდელი ნათქვამის სისწორეში და ციფრებით მანიპულირებაშიც დაადანაშაულა – 67 ერთეული 67 პროცენტად გადააკეთაო!

მათ შორის კი რამხელა სხვაობაცაა, კარგად ვიცით.

სხვებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ პირადად მე ერთი რამეც ვიცი დანამდვილებით: **ფრთიანი ფრაზისა არ იყოს, კეისრის ცოლი ეჭვზე მაღლა უნდა იდგესო, არც პრეზიდენტის ნათქვამის სისწორე-უტყუარობაში უნდა ეპარებოდეს იოტისოდენა ეჭვიც კი ვინმეს.**

**ამის საფუძველს, უწინარესად, თვით პრეზიდენტი არ უნდა იძლეოდეს ასე გულუხვად.**

მაშინ ეჭვისა თუ ჭორის მღვრიე ნაკადის სათავეც ჩაიკეტება სამუდამოდ.

ესაა მთავარი.

**მთავარია, ჩემი პრეზიდენტი იყოს ყველგან და ყველაფერში მართალი, თორემ „სეგოდნია“ და მისთანები თავიანთი სიმართლით ატაროს ღმერთმა!**

**რუსლან რუსია**

ექსპერტის აზრი

# ლადო პაპავა: ახალი პრემიერი საჯარო შეურაცხყოფაზე „აცრილია“

## გილაურსა და სააკაშვილს შორის დაპირისპირება გამორიცხულია, ანუ „რა ატამი, რი ატამი?!“

**სააკაშვილის მთავრობამ ყოფილი პრემიერ-მინისტრი გეგა მგალობლიშვილი დიდხანს ვერ იგუა. ექსპერტები მისი დანიშვნის დღიდანვე მხრებს იჩეჩავდნენ და ლოგიკურად ვერავინ დაასკვნა, რატომ იყო ის პრეზიდენტის რჩეული. ამ უცნაურ გადაწყვეტილებას, უცნაური დასასრული მოჰყვა და სამიოდე თვეში მგალობლიშვილი თანამდებობას გამოეთხოვა. ახალი პრემიერი ნიკა გილაური ამ პოსტზე კი ახალია, მაგრამ საზოგადოებისთვის ძველია, ხელისუფლებისთვის — ძალიან ნაცნობი, მეტიც, შეიძლება ითქვას, მასთან ერთად ფუთი მარილი უკვე მირთმეული აქვთ.**

**გილაურის კანდიდატურა მაღალ ეშელონებში სრულიად მისაღები კადრია, თუმცა რას ფიქრობენ მასზე ოპონენტები, არანაკლებ საინტერესოა.**

**ექსპერტი ლადო პაპავა კრიტიკულად იყო განწყობილი, როგორც ლადო გურგენიძის, ისე გეგა მგალობლიშვილის მიმართ, თუმცა მიიჩნევს, რომ მისი აზრი კრიტიკული კი არა, ობიექტურია. რას ფიქრობს ის ახალ პრემიერზე, ამაზე ქვემოთ გვესაუბრება.**



— ახალი პრემიერ-მინისტრი ეს არის ხელისუფლების აბსოლუტურად ლოგიკური და სწორი გადაწყვეტილება. ის „ვარდების რევოლუციის“ დღიდან მუშაობდა მთავრობაში, შეჩვეულია ამ მთავრობის მუშაობის ძირითად ტექნოლოგიას, რომელსაც პიარტექნოლოგია ჰქვია. ეს არის კაცი, რომელსაც საჯაროდ შეურაცხყოფაც მიუღია, როდესაც 2004 წელს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა კახა ბენდუქიძემ მთავრობის სხდომაზე საჯაროდ გალანძღა და შეურაცხყოფა მიაყენა; ასეთ ურთიერთობებზე ის „აცრილია“. ის არც ერთ შემთხვევაში არ ჩაერევა პოლიტიკურ საკითხებში და... თუ არ ჩაერევა ეკონომიკაშიც, მას ამას დაუფასებენ.

**— მის სამოქმედო გეგმაშიც თითქმის არაფერია შეცვლილი, იგივე დარჩა, რაც იყო, მხოლოდ ერთი პრიორიტეტი — დასაქმება დაემატა.**

— რა თქმა უნდა, და არც მომავალში შეიცვლება რამე.

შეგახსენებთ მთავრობის სხდომას, რომელიც ახალი წლის წინა დღეებში გაიმართა. მაშინ პრეზიდენტმა იკითხა, კი მაგრამ რამდენია საქართველოში მინიმალური საარსებო კალათაო? ზუსტი პასუხი არ ჰქონდა არც ფინანსთა მინისტრს, არც ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის მინისტრს, ქალაქის მერმა სცადა შეშველება, მაგრამ ისიც მოუმზადებელი აღმოჩნდა. ამიტომ ამ ხელისუფლებაში ის არის ყველაზე ლოგიკური კანდიდატურა. აქამდე ვინც ინიშნებოდნენ, ის იყო ამ ხელისუფლების შეცდომა.

**— ხელისუფლებისთვის კი, მაგრამ ქვეყნისთვის?**

— ქვეყნისთვის პრობლემა ხელისუფლებაა თავისთავად. სანამ ეს ხელისუფლება იქნება, ნუ გგონიათ, რომ გვერდზე პროფესიონალს გაიჩერებს. მგალობლიშვილი ეს იყო გაუგებრობა და მოგვიანებით ამას თავად ხელისუფლებაც მიხვდა. ჰქონდა თუ არა მას პრეზიდენტთან კონფლიქტი, ეს ყველაფერი მეათეხარისხოვანია. შეიძლება ეს ყველაფერი მოხდა ან არ მოხდა, მაგრამ შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, რომ გამორიცხულია დაპირისპირება გილაურსა და სააკაშვილს შორის. არც ისეთი ჭორები არ გავრცელდება, რადგან ახალი პრემიერი კონფლიქტში მასზე უფრო ძლიერთან არ შევა.

**— გილაურს, წინამორბედებისგან განსხვავებით, „დადებითი“ წარსული აქვს. მისი დამსახურებაა, რომ დღეს ჩვენ შუქი გვაქვს, „გილაურის ნათურა“, როგორც პრეზიდენტმა თქვა.**

— მართლა მძიმე მდგომარეობაში ჩაიბარა მან ენერგეტიკის სამინისტრო. დღეს სიტუაცია გამოსწორებულია. ობიექტურად თუ ვიტყვით, ამაში ლომის წილი ვანო მერაბიშვილსა და ზურაბ ადეიშვილს მიუძღვით, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართული გარიგებების და მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლაში. თუმცა, ასეა თუ ისე, გილაური ენერგეტიკის მინისტრი იყო და მოდით, იმ ღვაწლს ნუ დავუკარგავთ, მისი მინისტრობის დროს გამოვედით ენერგეტიკული კრიზისიდან.

ისე კი, „ილიჩის ნათურას“ რომ შეადარებენ საქართველოში შუქს, ეს შეურაცხყოფაა, მაგრამ პრეზიდენტის შაყირს გილაურმა რამე რეაქცია მისცა? არა, როგორც მოსალოდნელი იყო, გადაყლაპა!

პრეზიდენტმა ადრე, მთავრობის სხდომაზე ფალსიფიცირებული ღვინო მიიტანა. დაუძახა სოფლის მეურნეობის მინისტრს მიხო სვიმონიშვილს და პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს და უთხრა, დალიეთო. დალიეს. კი არ თქვეს, ჩვენ შეგვეშალა, რაღაც ისე მართლა არ არის, მაგრამ ამ ნაგავის დალევას ნუ გვაკადრებო. ადგნენ და მშვენივრად გადაჰკრეს. ანუ მერკანტილიზმი უფრო მაღლა დააყენეს, ვიდრე თავმოყვარეობა.

მეტსაც გეტყვით, 2008 წლის ბიუჯეტის პროექტი არ მტკიცდებოდა. გილაური ტრიბუნაზე იდგა. ამ ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათში ეწერა, რომ 2007 წლის ინფლაციის მაღალი ტემპი გამოიწვია... ატამმა. კითხვა დავუსვი ატმის როლზე საქართველოს ეკონომიკაში, მას ეგონა, რომ დავცინე. მერე ავუხსენი, ჩაიხედეთ, წაიკითხეთ თქვენივე წარმოდგენილ დოკუმენტში-მეთქი. მან ის დოკუმენტი წარმოგვიდგინა, რომელიც თვითონვე არ წაუკითხავს. თურმე ინფლაცია გამოუწვევია ატამს, მაგრამ მერე ეწერა, ინფლაცია რომ ძალიან მაღალი არ არის, პამიდორის დამსახურებააო. ბიუჯეტის პროექტის ტექსტმა ისე გაიარა ფინანსთა სამინისტრო, მთავრობის სხდომა, საკომიტეტო მოსმენები, რომ არავის, მათ შორის, ფინანსთა მინისტრსაც კი არ ჰქონდა ეს სისულელე წაკითხული, და სამწუხაროდ, ჩემამდე არავის დაბადებია კითხვა „რა ატამი, რი ატამიო?!“

ესაუბრა
**თეა მოსია**

განსჯა

**_სახელისუფლებო ოპტიმიზმი... ეგ მხოლოდ ტელეკამერების წინ. პრინციპში, გარეგნულად ყველაფერი ისე მიდის და ვითარდება, როგორც მმართველ ელიტას სურს, რომ არა ერთი, არც თუ უმნიშვნელო გარემოება — ხელისუფლების მხარდაჭერით შთაგონებულთა რაოდენობა მნიშვნელოვნად მცირდება. მართალია თავად ხელისუფალნი ამას არც კი აღიარებენ და მოჩვენებითად თითქოს არაფრად დაგიდევენ, მაგრამ ფაქტია, რომ რღვევა დაწყებულია. ეუთოში, ასევე ვენაში განთავსებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა და საქართველოს ელჩმა ავსტრიაში ვიქტორ დოლიძემ გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა._**






# მმართველი გუნდის შეუქცევადი რღვევა

ვიქტორ დოლიძის განცხადებით, ის გადადგომის მიზეზებზე თბილისში ჩამოსვლის შემდეგ ისაუბრებს. მისივე თქმით, თბილისში ის მომავალ კვირას დაბრუნდება. თუმცა ყველასათვის ნათელია, და ამის შესახებ „ჯი-ეიჩ-ენი“ 5 იანვარს წერდა, რომ დოლიძე ირაკლი ალასანიასთან ერთად გეგმავს პოლიტიკური საქმიანობის გაგრძელებას.

მინისტრობის ერთ-ერთმა კანდიდატმა კი ამ დღეებში თავის სამეგობროში სინანულით განაცხადა — „ეტყობა ამ პოსტზე მიშას ბოლო მინისტრი ვიქნებიო...“

თუნდაც ეს ფაქტი ადასტურებს, რომ პრეზიდენტის ნაციონალურ-პატრიოტული თეზისი ხელმოცარულთა გაყრისა და მათი ხელისუფლებაში ყოფნისას სიმუნჯის შესახებ, არა თუ პოლიტიზებული საზოგადოების, არამედ ოჯახური ფილოსოფიის მცოდნე გლეხისთვისაც არადამაჯერებელია.

როგორც იტყვიან, ერთი ცოდვა ყველა ოჯახში ტრიალებს და მისი მოგვარება ოჯახის საქმეა და არა მეზობლების. ამ ხალხურ პრინციპს თუ გავცდებით და პოლიტიკურ რაკურსში გადავინაცვლებთ, მაშინ იმათ გასაგონად ვიტყვი, ვინც ამ თემით სპეკულირებს, რომ პოლიტიკური გუნდის არსებობის პრინციპი შიდა პოლემიკას ექვემდებარება და არა საჯარო განცხადებებს. შესაბამისად, თუ ხდება მსოფლმხედველობრივი შეუთავსებლობა, უნდა დაჰყვე უმრავლესობის ნებას და წახვიდე. ამას ხმაურიანად გააკეთებ თუ უხმაუროდ, ეს პოლიტიკურ კულტურაზეა დამოკიდებული და შეუთავსებლობის მიზეზის სიმძიმეზე — მით უფრო დიპლომატების შემთხვევაში.

2003 წლიდან მოყოლებული, უხმაუროდ წასვლა ქართულ პოლიტიკაში არც მომხდარა. ვინც უხმაუროდ წავიდა, მათი უმრავლესობა საკმაოდ ხმაურიანად და სკანდალურად დაბრუნდა კიდეც.

სამწუხაროდ, ხელისუფლებისთვის თითოეული წასვლა ინდივიდის კაპრიზთან და ამბიციასთან ასოცირდებოდა და არა პრინციპთან. შესაბამისად ხელისუფლებას არც ერთხელ არ გაუჩნდა კითხვა, რატომ შემოაკლდა თანამოაზრეები, უფრო სწორად რატომ დაუპირისპირდნენ ისინი მათ, ვისთანაც ერთად უნდა ეშენებინა „ჯერარგაგონილი, ჯერარნახული ახალი საქართველო“?

არც ოქრუაშვილმა, ზურაბიშვილმა, ნოღაიდელმა, ბურჯანაძემ, არც ალასანიამ, თუ სხვა სახელისუფლებო წვრილფეხობას (ბოდიში გამოთქმისთვის — **ავტ.**) არაფრად ჩავთვლით, ხელისუფლებას არაფერი ასწავლა. სამწუხაროდ ხელისუფლების ურთიერთობა თანაგუნდელებთან ეფუძნებოდა და ეფუძნება პრინციპს — მორჩილება. ყველა სახის წინააღმდეგობა, ოპონირება, პოლემიკა აღიქმევა როგორც „ჩვენთან ერთად არაა“, ეს უკანასკნელი კი მარტივად გარდაიქმნება უმთავრეს პოლიტიკურ დოგმად — ვინც ჩვენთან არაა, ჩვენი მტერია!

ამ ვითარებაშიც კი, როდესაც პარტიულ-პოლიტიკური დისციპლინის კონტროლი სახელმწიფო სტრუქტურების მეშვეობით ხორციელდება, სახელისუფლებო გუნდი აშკარად იშლება. რჩება მხოლოდ მითი გრძელი სათადარიგო სკამისა და ერთიანობის შესახებ. ფაქტია, რომ ხელისუფლების მრავალმა წარმომადგენელმა უკვე დაიზევა ადგილები როგორც ბურჯანაძესთან, ასევე ალასანიასთან, თუ იმაზე არაფერს ვიტყვით, რომ მეტ-ნაკლებად სოლიდური პარტიების მსტოვრები თავიანთი ბოსებისათვის სახელისუფლებო გუნდის წევრებისგან მოკითხვისა თუ „მოსაკითხის“ მიტანას ვერ აუდიან.

რასაკვირველია, ხელისუფლება ჩვეულ სტილში იუარებს ყველაფერს, მაგრამ ყოველივე ამის ტესტი არჩევნები იქნება, რომელიც ზოგიერთთათვის შორეულ პერსპექტივად გამოიყურება, სხვებისთვის კი — უახლოეს რეალობად.

მორჩილებისა და ერთგულების სანაცვლოდ შექმნილი ორმაგი სტანდარტი ბელადს ბადებს. როდესაც ერთ შემთხვევაში ჩვენი დროის გმირია სახელმწიფო დაცვის თანამშრომლის გამლახავი პარლამენტარი და მეორე შემთხვევაში გაწონასწორებული და თანამედროვე პოლიტიკოსის განსახიერება, „კავკასიის“ ეთერში გაწუწული დეპუტატი, რომელიც პატივისა და ღირსების შელახვისათვის სასამართლოშიც კი არ ჩივის, ყოველივე ამის შემყურეთათვის გასაგები ხდება, რომ მათთვის კანონიც და მორალიც მფარველთან ასოცირდება. მაგრამ საკმარისია, რომ მორჩილებმა იგრძნონ ბელადის სისუსტე, ისინი მაშინვე იწყებენ ახალი პოლიტიკური „ნავსაყუდელის“ ძებნას, რათა ქარიშხლის დროს იქ შეაფარონ თავი.

მართალია ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობს, რომ ხელოვნურად შეაჩეროს მოსალოდნელი პოლიტიკური კატაკლიზმები და მაქსიმალურად აკონტროლოს თავისი მომხრეების ქმედებები, მაგრამ განწყობა შინაგანი განცდაა. და თუ უზნაძისეულ განწყობის თეორიას საქართველოშიც დაეჯერება, „ბელადის“ რეიტინგისვარდნასთან ერთად სახელისუფლებო გუნდში სტაბილურობის განცდის დეფიციტია. უფრო მეტიც კეთილგანწყობილთა განწყობას „კეთილი“ შემოაცვდა. ეს კი უკვე იმის სიმპტომია, რომ მორჩილთა გუნდის რღვევამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო. კითხვა, „ვინ იქნება შემდეგი?! უკვე აქტუალურიც კი არ არის...

**გოჩა მირცხულავა**

**ჯი-ეიჩ-ენი**

რუსი ისტორიკოსის თვალით



# ბორის სოკოლოვი: რუსეთის დღევანდელ ხელისუფლებას საგარეო მტერი სჭირდება, თანაც არც ისე ძლიერი, ამ როლისთვის კი საქართველო იდეალური ქვეყანაა

**_ეკონომიკური კრიზისის ფონზე რუსეთში შექმნილ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაზე, რუსეთში პოლიტიკური პროცესების განვითარების სავარაუდო სცენარებზე და ასევე იმაზე, თუ რა ელის საქართველოს რუსეთისაგან, „ინტერპრესნიუსი“ ცნობილ რუს ისტორიკოსსა და ლიტერატურათმცოდნეს, პროფესორ ბორის სოკოლოვს ესაუბრა._**

**_რუსეთის სახელმწიფო სოციალური უნივერსიტეტის პროფესორს ბორის სოკოლოვს ხელისუფლების ზეწოლით უნივერსიტეტი მას შემდეგ დაატოვებინეს, რაც მან აგვისტოს მოვლენების შემდეგ გამოცემა „გაზეტაში“ გამოაქვეყნა სტატია „დამარცხდა კი სააკაშვილი?“_**

**_რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომს პროფესორმა სოკოლოვმა ასევე გახმაურებული სტატია „წაგლეჯვა სუდეტურად“ მიუძღვნა, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია რუსეთის ინტელექტუალურ წრეებში და სამოქალაქო საზოგადოებაში, თუმცა სტატია კრემლის გაღიზიანების საფუძველი გახდა. რუსული პრესის მტკიცებით, პროფესორ სოკოლოვის უნივერსიტეტიდან გაძევება სწორედ კრემლის ზეწოლით განხორციელდა._**

**— ბატონო ბორის, ეკონომიკური კრიზისის ფონზე როგორ შეაფასებთ რუსეთში არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას და როგორ შეიძლება განვითარდეს პოლიტიკური პროცესები რუსეთის ფედერაციაში?**

— მე ვითარება იმაზე რთულად მესახება, ვიდრე ეს 1998 წელს იყო, ვინაიდან მაშინ ევროპისა და აშშ-ს ბაზრებს კრიზისი არ შეხებია და იგი ძირითადად პოსტსაბჭოთა სივრცის ბაზრებს შეეხო. რუსეთისათვის ყველაზე დიდი საფრთხე უკვე წლის ბოლოსთვის დეფოლტის შესაძლებლობასა და რუსული რუბლის უკონტროლო ვარდნაშია. ამის გამორიცხვა იმის გამო არ შეიძლება, რომ დასავლური კრედიტორების მიმართ რუსეთის კომპანიების კორპორატიული ვალდებულებები და ვალები ძალიან დიდია. თუ ამ ვალებსა და ვალდებულებებს თავის თავზე სახელმწიფო აიღებს, მაშინ რუსეთის სავალუტო რეზერვი ძალიან მალე დამთავრდება. ჩემი აზრით, ეს ქვეყნისთვის ყველაზე მთავარი საშიშროებაა.

ამას შესაძლოა ძნელად პროგნოზირებადი შედეგები მოყვეს, რამაც შეიძლება ჰიპერინფლაცია, ან რუბლის დოლარზე თავისუფალი გადაცვლის აკრძალვა გამოიწვიოს. ეს კი, თავის მხრივ, რუსეთში ინვესტიციების შეჩერებას და დოლარზე შავი ბაზრის გაჩენას გამოიწვევს. ორივე ვარიანტი რუსეთის პერსპექტივას ბუნდოვანს ხდის.

**— რამდენად სავარაუდოა, რომ, რთული ეკონომიკური კრიზისის გამო, კრემლმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანოს თავის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში?**

— არა მგონია, რომ შესაძლებელია პრინციპული ცვლილებები მოხდეს. ასე იმიტომ ვფიქრობ, რომ შეუძლებელია რუსეთმა დასავლეთის ნდობა აღიდგინოს. დასავლეთის მხრიდან რუსეთის მიმართ რაღაც რევერანსებს არ უნდა ველოდოთ.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ რუსეთი თვითიზოლაციაზე წავა?**

— არ არის გამორიცხული მოვლენათა ამ სცენარით განვითარება. ასეთი ვარიანტი გარდაუვალი მაშინ იქნება, თუ მაგალითად, ხელისუფლება რუბლის დოლარზე ან ევროზე კონვერტირებას აკრძალავს.

**— ასეთ შემთხვევაში, შეიძლება „ცივი ომის“ ვითარება მივიღოთ?**

— ფაქტობრივად, დასავლეთი და რუსეთი „ცივი ომის“ ვითარებაში უკვე იმყოფებიან. ისინი უბრალოდ ერთმანეთის მიმართ „ცივი ომის“ რბილ სტადიაში არიან. ეკონომიკური კრიზისისგან დასავლეთიც დაიღალა. დასავლეთს რუსეთისათვის ისევე არ სცალია, როგორც რუსეთს დასავლეთისთვის.

**— დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე პუტინმა დასავლელ პარტნიორებს რუსეთის „უიმედო ვალებისა და აქტივების“ ჩამოწერა შესთავაზა. გაითვალისწინებს დასავლეთი ვლადიმერ პუტინის თხოვნას?**

— რუსეთის კორპორაციებს დასავლელი კრედიტორების დიდი ვალი დაუგროვდათ. ბატონ პუტინს შეუძლია შესთავაზოს, მაგრამ საქმე ისაა, რომ მას ყურს არავინ დაუგდებს.

მე ძალიან მეპარება ეჭვი, რომ დასავლეთი მის თხოვნას გაითვალისწინებს. მაშინ, როცა ასეულობით მილიარდ დოლარზეა საუბარი, გაუგებარია, რატომ უნდა აჩუქონ დასავლელმა კრედიტორებმა რუსულ კორპორაციებს ფული. ჩემი აზრით, რუსეთისთვის ვალების ჩამოჭრას არავინ აპირებს.

**— რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გასულ კვირას რუსეთის 72 რეგიონში 407 საპროტესტო აქცია გაიმართა. რა გავლენა შეიძლება იქონიოს მასების აქტიურობამ?**

— იმის გამო, რომ საპროტესტო აქციები მცირერიცხოვანი იყო, მე მათ მნიშვნელობას გადაჭარბებით არ შევაფასებდი. მასების აქტიურობა ცუდი არ არის, მაგრამ რუსეთში რევოლუციური ცვლილებები 2010 ან 2011 წელსაა შესაძლებელი. ვიდრე კრიზისი გარკვეულ ზღვრამდე არ გაღრმავდება, რუსეთში სერიოზული არაფერი მოხდება. ის, რომ კრიზისი აუცილებლად გაღრმავდება, ამაში ეჭვი არავის ეპარება.

**— ამ ფონზე, რას შეიძლება ელოდოს საქართველო რუსეთისგან?**

— ვიდრე რუსეთში არსებული ხელისუფლება არ შეიცვლება, საქართველოს რუსეთისგან კარგი არაფერი ელის. რამდენადაც მესმის, რუსეთის დღევანდელ ხელისუფლებას სჭირდება საგარეო მტერი, თანაც არც ისე ძლიერი, ამ როლისთვის კი საქართველო იდეალური ქვეყანაა.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებით, რუსეთმა თავისი თავი პრაქტიკულად „ცივი ომის“ ვითარებაში ჩაიყენა. ამ რეგიონებთან დაკავშირებით კრემლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას მხარი არავინ დაუჭირა. ეს კი რუსეთს პრობლემებს შეუქმნის ნორმალური საერთაშორისო ურთიერთობების წარმოებაში. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ეს რომ უკვე ასეა, ესეც ფაქტია.

სხვათა შორის, თბილისში რამდენი ხელისუფლებაც არ უნდა შეიცვალოს, რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ იმიტომ არ შეიცვლება, რომ საქართველოში აშკარად პრორუსული ხელისუფლების მოსვლა შეუძლებელია. ყველა სხვა შემთხვევაში კი კრემლს თბილისის მიმართ ძალიან ცუდი დამოკიდებულება ექნება. რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის გაუქმება, რუსეთში მხოლოდ არსებული პოლიტიკური რეჟიმის შეცვლის შემთხვევაშია შესაძლებელი.

**კობა ბენდელიანი**

◎ დემოკრატიზაციის პარადოქსი

***როგორც ჩანს, ჩვენ ვერ ვითვალისწინებთ რაღაც ობიექტურ კანონზომიერებებს, რადგან ვერა და ვერ ხერხდება საქართველოში ხელისუფლების ექსცესების გარეშე შეცვლა. თავდაპირველად ხალხი მთელ იმედებს ამყარებს ახალ ხელისუფლებაზე და დიდი უმრავლესობით მხარს უჭერს მას, შემდეგ კი აღმოაჩენს, რომ მან ვერ გაამართლა მისი ნდობა და ასევე დიდი უმრავლესობით უპირისპირდება მას. მიუხედავად იმისა, რომ სამივე ხელისუფლებამ შეასრულა თავისი მისია: გამსახურდიამ გამოაღვიძა ეროვნული სული. მოხდა ერის თვითიდენტიფიკაცია; შევარდნაძემ ავად თუ კარგად ჩაუყარა საფუძველი სახელმწიფო სტრუქტურებს, საბაზრო ეკონომიკის და დემოკრატიის ინსტიტუტებს, გავერთიანდით საერთაშორისო სტრუქტურებში; 3) სააკაშვილის მმართველობის დროს მოხდა სისტემური ძვრები ქვეყანაში.***

მართლაც პარადოქსია. დღევანდელმა ხელისუფლებამ დაამარცხა შევარდნაძის ავტორიტარული რეჟიმი, აჭარაში სეპარატისტული რეჟიმი, სისტემური კორუფცია, კრიმინალური სამყარო, უზრუნველყო სახელმწიფო ბიუჯეტის და ეკონომიკის მნიშვნელოვანი ზრდა. ამის შედეგად შეიქმნა გაცილებით უფრო დემოკრატიული გარემო, ვიდრე იყო წინა ხელისუფლების დროს. და მიუხედავად ამისა, მთელი ოპოზიცია და საზოგადოების დიდი ნაწილი მოითხოვს ამ ხელისუფლების გადადგომას სწორედ დემოკრატიის შეზღუდვის ბრალდებით, ანუ ხელისუფლებამ შექმნა გარემო, რომლისთვისაც თვითონვე გახდა მიუღებელი.

საქართველოს წინაშე მდგარი ამოცანები განსხვავდება დასავლური საზოგადოების ამოცანებისაგან. დასავლეთში ხელისუფლების მთავარი პრობლემაა დემოკრატიული სისტემის ნორმალური **ფუნქციონირება**. ჩვენი პრობლემაა — დემოკრატიული სისტემის **შექმნა**. დემოკრატიული სისტემის შექმნა და მისი ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა განსხვავებული ამოცანებია. ამ ამოცანების გადაჭრას სჭირდება განსხვავებული კანონები, ხელისუფლებაში ძალაუფლების კონცენტრაციის სხვა ხარისხი; ხელისუფლების შტოებსა და ინსტანციებს შორის უფლება-მოვალეობების გადანაწილების განსხვავებული ფორმატი. ასეთი კანონებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ხელისუფლება ვერ ახერხებს ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრას. იძულებული ხდება დაარღვიოს თავისივე მიღებული კანონები, გამოიყენოს ცენტრალიზებული მართვის მეთოდები. ეს კი იწვევს ოპოზიციის და საზოგადოების სამართლიან პროტესტს. ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დაპირისპირება იზრდება, იძენს საკუთარ ინერციას. თანდათან დემოკრატიისათვის ბრძოლა გადაიზრდება ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. ასეთი ბრძოლის პირობებში ხელისუფლება პარალიზებულია, ხდება არაეფექტიანი. სახეზეა პოლიტიკური კრიზისი, რომელიც შესაძლოა დასრულდეს ხელისუფლების ვადამდელი შეცვლით.

დღეს ჩვენ ვცხოვრობთ სრულიად განსხვავებულ ქვეყანაში, ვიდრე შევარდნაძის რეჟიმის დროს. მხოლოდ დემოკრატიული კანონების ფარგლებში შეუძლებელი იქნებოდა სეპარატისტული რეჟიმის დამარცხება აჭარაში. როგორ უნდა გაკეთებულიყო ეს, თუ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მხარს უჭერდა ა. აბაშიძეს (შიშის თუ მატერიალური ინტერესების გამოძ. როგორ უნდა დამარცხებულიყო სისტემური კორუფცია დემოკრატიული კანონების ფარგლებში ისეთ საზოგადოებაში, რომლის დიდი უმრავლესობა თვითონ იყო პოტენციურად კორუმპირებული (თუ ექნებოდა შესაძლებლობა თვითონაც აიღებდა ქრთამს, რადგან ასეთი იყო „თამაშის წესები“ძ, როდესაც თვითონ სამართალდამცავი ორგანოები იყო კორუმპირებული და კანონს არღვევდა ის, ვინც უნდა იცავდეს მას? როდესაც ეს ყველაფერი იქცა ნორმად და საზოგადოებაში დამკვიდრდა ქცევის ასეთი სტერეოტიპები? როდესაც საზოგადოება შეგუებულია ამას და ცდილობს ადაპტაციას თვითგადარჩენის მიზნით? ასეთ სამართლებრივ გარემოში, ნებისმიერი პირი იძულებულია დაარღვიოს კანონი თვით იმ ფაქტის გამო, რომ ყველა დანარჩენი არღვევს კანონს. განა ასეთი საზოგადოების გარდაქმნა შესაძლებელია დასავლური კანონების გადმოთარგმნით და მათი უპირობო შესრულების მოთხოვნით? განა საკმარისია მოწოდებები კანონმორჩილების თაობაზე?

# ობიექტურად შეიქმნა ვითარება, როდესაც პოლიტიკურად მიზანშეწონილია, რომ ხელისუფლება გადადგეს







მრავალი ამოცანის გადაჭრა, მათ შორის დემოკრატიის მშენებლობაში გარკვეული პროგრესი, შესაძლებელი გახდა რაღაც ფარგლებში ძალაუფლების კონცენტრაციის, პირად ნდობაზე დაფუძნებული საკადრო პოლიტიკის, ძალოვანი სტრუქტურებისათვის გაზრდილი უფლებების მინიჭების, მასმედიის და საარჩევნო უფლებების ნაწილობრივი შეზღუდვის მეშვეობით. ყოველივე ეს იყო საშუალება მიზნების მისაღწევად. მაგრამ როდესაც მართვის ასეთ განსაკუთრებულ რეჟიმს არ ითვალისწინებს კანონმდებლობა, და სანქცირებულია მხოლოდ უმაღლესი ხელისუფალის ნებით, მაშინ ეს სხვა არაფერია, თუ არა ავტორიტარული რეჟიმი. მართვის ცენტრალიზებული მეთოდები თავისთავად არ არის არც სიკეთე და არც ბოროტება. გააჩნია ვინ და რისთვის იყენებს მას. იგი ბოროტებაა მაშინ, როდესაც ემსახურება ავტორიტარული რეჟიმის დამყარებას, როდესაც ავტორიტარიზმი თვითონ იქცევა მიზნად. მაგრამ, ის სიკეთეა, თუ ემსახურება დემოკრატიის შენებას ან სხვა სასიკეთო მიზნებს. ამიტომაც, დროებით, როგორც საშუალება, ძალაუფლების კონცენტრაცია და დემოკრატიული უფლებების შეზღუდვა ყოველთვის გამოიყენება თვით დემოკრატიული რეჟიმების მიერ ექსტრემალურ პირობებში (ომები, კრიზისებიძ.

იყო თუ არა ყოველივე ის, რასაც ბრალად სდებენ ხელისუფლებას, ადეკვატური პოლიტიკური ფასი იმისათვის, რასაც მიაწერენ მის დამსახურებას — დრო შეაფასებს. მაგრამ ფაქტია ის, რომ ქვეყანაში მოხდა რადიკალური გარდაქმნები, რომლის გარეშეც დემოკრატიზაციის პროცესი საქართველოში ბლოკირებული იქნებოდა. დღევანდელმა ხელისუფლებამ პრინციპულად შეცვალა გარემო, რომელშიც ვცხოვრობთ. მაგრამ ამ გარდაქმნების პროცესში მან შეიძინა ავტორიტარული მართვის გამოცდილება, რომელიც არ გამოდგება ახალ გარემოში. მან შექმნა უფრო დემოკრატიული გარემო, რომელისთვისაც თვითონვე გახდა არაადეკვატური, რადგან არ გააჩნია ასეთ გარემოში მართვის გამოცდილება. მისი ხელშეწყობით საზოგადოებაში გაიზარდა დემოკრატიული მოთხოვნები, რომელსაც თვითონვე ველარ აკმაყოფილებს. ამასთანავე, თავისი ამოცანების გადაჭრის პროცესში ხელისუფლებას მოუწია ისეთი არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმა და შეცდომებიც იმდენი დაუშვა (რომლის გარეშეც არ კეთდება საქმეძ, რომ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ეს ხელისუფლება მიუღებელი გახდა.

ოპოზიციასთან მძაფრი დაპირისპირების პირობებში ხელისუფლება იძულებულია თავისი ძალისხმევის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუთმოს ხელისუფლების შენარჩუნებისათვის ბრძოლას, ველარ ხდება ძირითად ამოცანებზე მობილიზება. ხელისუფლება კარგავს საზოგადოების მხარდაჭერას. ყოველივე ეს განაპირობებს იმას, რომ ხელისუფლება უუნარო გახდა.

ხელისუფლება მართლაც მძიმე არჩევანის წინაშეა. თუ იგი საერთოდ არ შეზღუდავს დემოკრატიულ უფლებებს, მაშინ დემაგოგები აქტიურდებიან და თავისი ლანძღვა-გინებით, უსაფუძვლო ბრალდებებით და პროვოკაციებით ელექტორატს განაწყობენ ხელისუფლების წინააღმდეგ. დემაგოგები მიზანმიმართულად მუშაობენ ხელისუფლების დასასუსტებლად, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად სწორ ნაბიჯებს დგამს ხელისუფლება, რადგან მათი მიზანია ხელისუფლებაში მოსვლა და არა დემოკრატია. საზოგადოებაში მართლაც იზრდება ხელისუფლებისადმი პროტესტი. ხელისუფლება გრძნობს, რომ კარგავს კონტროლს პროცესებზე. ამიტომ, იგი იძულებულია ნაწილობრივ შეზღუდოს დემოკრატიული უფლებები. ეს კი იწვევს დემოკრატების სამართლიან პროტესტს. და დემაგოგების ლანძღვა-გინებას ემატება დემოკრატების არგუმენტირებული კრიტიკა, ანუ თავისი მოქმედებით ხელისუფლება ხელს უწყობს ოპოზიციის მთელი სპექტრის გაერთიანებას საერთო მოთხოვნით გადადგომის და ვადამდელი არჩევნების თაობაზე. ეს არის ბოიკოტი ოპოზიციის მხრიდან. ოპოზიციის უკან კი დგას ხალხი, ამომრჩევლები.

ასეთი მწვავე დაპირისპირების პირობებში საჭირო ხდება რადიკალური ზომები. ხელისუფლებას რჩება ორი ალტერნატივა: 1ძ ან უფრო მეტად, უკიდურესობამდე შეზღუდოს დემოკრატიული უფლებები, და რეპრესიებით შეეცადოს დაამყაროს ბოლომდე (და არა სანახევროდძ ავტორიტარული რეჟიმი, ან 2ძ მკვეთრად გაზარდოს დემოკრატიული უფლებები (სიტყვის თავისუფლება, თავისუფალი არჩევნები და სხვაძ, რაც არსებული რეიტინგის პირობებში დიდი რისკის ქვეშ აყენებს მის ხელისუფლებაში დარჩენას. რომელ გზას აირჩევს ხელისუფლება? აქ გამოვლინდება მისი ჭეშმარიტი სახე: დემოკრატიის მშენებლობაა მისი მიზანი თუ ხელისუფლებაში დარჩენა, ესე იგი ავტორიტარული რეჟიმის დამყარება. თვით პროცესების განვითარების ლოგიკას მიჰყავს ხელისუფლება იქამდე, რომ იგი ან უნდა დარჩეს ხელისუფლებაში როგორც ავტორიტარი, ან წავიდეს როგორც დემოკრატი.

**დასკვნა: არსებულმა ხელისუფლებამ გადაჭრა ქვეყნის წინაშე მდგარი ძალიან მნიშვნელოვანი ამოცანები, რომლის გარეშეც საქართველოს არ ექნებოდა შემდგომი განვითარების შანსი. მაგრამ, ამ ეტაპზე ობიექტურად შეიქმნა ვითარება, როდესაც პოლიტიკურად მიზანშეწონილია, რომ იგი გადადგეს და დანიშნოს ვადამდელი არჩევნები. დღეს ხელისუფლების გადადგომა საკუთარი ნებით საჭიროებს არანაკლებ პასუხისმგებლობას, ღირსებას და ქვეყნის სიყვარულს, ვიდრე ხელისუფლებაში მოსვლა შევარდნაძის რეჟიმის პირობებში.**

პროფესორი
**პაატა ლეიაშვილი.**

◎ ფრთხილად, ქართველებო!

# რა კარგი იყო მაშინ, ერთად ვიყავით როცა?!

***გახსოვთ, ალბათ, ერთი ლამაზი სიმღერის ოდნავ გადაკეთებული სტრიქონი და მისი გაგრძელება — „ლურჯი იებით ხელში, წამწამებს ხრიდი მორცხვად“. მორცხვობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მაშინ, როცა ამ წერილთან ერთად გამოქვეყნებული ეს ფოტოა გადაღებული, საკრებულოს თავმჯდომარედ ახლად „ჩამოლაბორანტებულ“ იუსტიციის ყოფილ მინისტრს არც ის ეტყობოდა, რომ იებით არა, მაგრამ სულ მალე ვარდებით ხელში შევარდებოდა პარლამენტში და თავის გამზრდელს ჩაის სმას არ დააცლიდა.***

ეს ის დროა, თუ არ ვცდები, 2002-ის დასასრული, ან 2003-ის დასაწყისი, როცა თქვენს მონა-მორჩილს — ამ წერილის ავტორს, თუ ხმადაბლა ვიტყვი, მცირედი წვლილი მიუძღვის საკრებულოს არჩევნებისთვის სარეკლამო-პროპაგანდისტული ერთჯერადი გაზეთის — „თბილისი შევარდნაძის გარეშე“ — გამოცემის საქმეში, რომელიც დიდი ტირაჟით დაიბეჭდა და უფასოდ, კარდაკარ დარიგდა თბილისის ოჯახებში, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დედაქალაქელთა დაბოლება-ქლიავიზაციის საქმეში, ხოლო იგივე მიზნით, ოღონდ ამჯერად მთელი საქართველოს მასშტაბით და შესაბამისი დასახელების გაზეთის „საქართველო შევარდნაძის გარეშე“, „რედაქტორობა“ 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის წინ მელოდებოდა.

ამ „ისტორიულ“ ფოტოზე ჩემგან მარჯვნივ მდგომ ბუნჩულა ყმაწვილსაც ჯერ არაფერი ეტყობა საიმისო, რომ სულ მოკლე ხანში ფერადი რევოლუციის მთავარი ექსპორტიორი, ქართველი ჩე გევარა გახდებოდა, ერთი მცირედი ქართული (კახური) თავისებურებით — თუ ერნესტო ჩე გევარას მოტოციკლეტით უყვარდა კორდილიერებში ქროლა, გივი თარგამაძე სახედარზე ამხედრებული ავრცელებდა რევოლუციურ იდეებს „მოძმე“ ყირგიზეთში. გაივლის კიდევ სულ ცოტა ხანი და, 2007 წლის 7 ნოემბერს იმავე ხალხს, ვინც 2003 წლის გიორგობას ხონჩით მიართვა „ნაცებს“ ხელისუფლება, ნაძირალებად მონათლავს და რუსთაველზე „სულს ამოხდის“. აქაოდა, „ვინა თქვა, რომ ჩვენში ვარდი აღარ ვარდობსო“. მაგრამ ეს ყველაფერი იქნება მერე.

იხ. 6 გვ.

№ 22. პარასკევი, 6 თებერვალი, 2009 წელი.

# რატომ ვულახავთ ადამიანს კონსტიტუციურ უფლებებს?!

## სამეცნიერო საზოგადოება თანადგომას უცხადებს აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას



### ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს

**ბატონო მიხეილ!**

გაცნობებთ, რომ 2008 წლის 12 ოქტომბერს თბილისის აეროპორტში სრულიად უკანონოდ ჩამოართვეს საქართველოს და რუსეთის პასპორტები და პირადი ტელეფონი ცნობილ მეცნიერს და საზოგადო მოღვაწეს, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, ლომონოსოვის პრემიის ლაურეატს, აკადემიკოს **ვლადიმერ ვახანიას**.

დღემდე ვლადიმერ ვახანია იმყოფება საქართველოში საბუთების გარეშე, რითაც დაირღვა მისი, როგორც საქართველოს მოქალაქის კონსტიტუციური უფლებები და საერთაშორისო ნორმები. შეზღუდულია მისი გადაადგილების უფლებები და ოთხი თვეა, მოწყვეტილია თავის ოჯახს, რომელიც ჯერჯერობით მოსკოვში ცხოვრობს.

ვლადიმერ ვახანია დაიბადა ქალაქ ზუგდიდში, დაამთავრა ზუგდიდის მეოთხე საშუალო სკოლა. უმაღლესი იურიდიული განათლება მიიღო რუსეთში, იქვე დაიწყო შრომითი საქმიანობა. წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. არის თორმეტი მნიშვნელოვანი, საინტერესო წიგნის ავტორი იურიდიულ, ეკონომიკურ და ისტორიულ საკითხებზე. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი. ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას.

ვლადიმერ ვახანიას გადაწყვეტილი აქვს, ოჯახთან ერთად მუდმივად გადმოვიდეს საქართველოში საცხოვრებლად და თავისი წვლილი შეიტანოს მის აღმშენებლობაში.

ვლადიმერ ვახანიამ არაერთხელ მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს, მაგრამ ამას ჯერჯერობით არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია.

**ბატონო პრეზიდენტო,** ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი მეცნიერები, მწერლები, მხატვრები და საზოგადო მოღვაწეები, მოგმართავთ თხოვნით, მიიღოთ სათანადო ზომები ჩვენი კოლეგის ვლადიმერ ვახანიას მოქალაქეობრივი უფლებების აღსადგენად.

**წერილს ხელს ვაწერთ:**

**ვაჟა ეგრისელი** — საქართველოს ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, პოეტი-აკადემიკოსი, იურისტი; **აკაკი გასვიანი** — მწერალი, ფაზისისა და აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი; **კლიმენტი შელია** — ისტორიკოსი, პროფესორი, აკადემიკოსი; **ფრიდონ სიხარულიძე** — ისტორიკოსი, დოქტორი, პროფესორი; **ლამარა შეყილაძე** — პოეტი; **აკაკი მელუხაშვილი** — ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; **მიხეილ ყულოშვილი** — ექიმი, აკადემიკოსი; **აკაკი უგულავა** — მხატვარი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; **ომარ ხუბუა** — ფილოლოგი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; **მაია გაჩეჩილაძე** — აღმოსავლეთმცოდნე, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; **ანზორ შონია** — მკვლევარი, საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი; **გულნაზ ხარაიშვილი** — პოეტი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; **სიმონ ზაქარაია** — ჟურნალისტი; **ზაურ გაბესკირია** — მხატვარი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; **იური სიხარულიძე** — ფილოლოგი, დოქტორი, პროფესორი; **ვანო მეგრელი** — პოეტი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; **პაატა შუბითიძე** — ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; **გურანდა სირბილაძე** — ფილოლოგი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; **ზაურ გოგოლაძე** — იურისტი, პროფესორი; **გრიგოლ შარია** — ისტორიკოსი, საქართველოს ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი; **ნაპოლეონ ლემონჯავა** — ფილოლოგი, დოქტორი, პროფესორი; **ზურაბ რატიანი** — ისტორიკოსი, დოქტორი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; **რევაზ ხუბუა** — იურისტი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; **აბესალომ გადელია** — ფილოლოგი, დოქტორი, პროფესორი; **იოსებ კაპანაძე** — პროფესორი, აკადემიკოსი; **ჯემალ ხარებავა** — ფილოლოგი, დოქტორი, პროფესორი; **ლუარა სორდია** — ფილოლოგი, დოქტორი, აკადემიკოსი; **ავთანდილ ხაზალია** — იურისტი, დოქტორი, პროფესორი; **ზურაბ ლიპარტია** — ეკონომისტი, დოქტორი, პროფესორი; **გიგო ნინაშვილი** — მწერალი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; **რეზო ვეკუა** — პოეტი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; **ნანი ჭირაქაძე** — გაზეთ „საქართველოს მიღმა საქართველოს" მთავარი რედაქტორი, აკადემიკოსი; **ჯემალ შელია** — იურისტი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; **შალვა დავითაშვილი** — კომპოზიტორი, საქართველოს სახალხო არტისტი; **ციალა მესხია** — ფილოლოგი, პროფესორი; **შარაბ ხოჭოლავა** — მხატვარი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; **ნათელა გოგელაშვილი** — მწერალი; **ბიეტა აბშილავა** — პოეტი; **ბორის ბესელია** — ისტორიკოსი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; **ალექსანდრე თოდუა** — მხატვარი, აკადემიკოსი; **გია კვაშილავა** — მკვლევარი, საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი; **მადონა ჯოლოგუა** — ექიმი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; **კუკური ფიფია** — მკვლევარი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; **მერი ხაზალია** — ფილოლოგი; **ოთარ ბერიშვილი** — იურისტი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; **შოთა ძოიავა** — ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; **იაკობ კოდუა** — ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; **ანა ქველიძე** — პოეტი; **რევაზ გოგოლაძე** — იურისტი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; **გივი ხაზალია** — ექიმი, აკადემიკოსი; **გიზო ჭელიძე** — ფილოლოგი, დოქტორი, პროფესორი.






## „მეცასცაზები" — მეცნიერის წინააღმდეგ

წარმოშობით ზუგდიდელი, მოსკოვში მოღვაწე იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ ვახანია ზუგდიდელებს ახსოვთ იმ ძღვენით, რომელსაც სთავაზობდა მშობლიურ ქალაქს — ღვთისმშობლის 9-მეტრიანი სკულპტურულ კომპოზიციას (ღვთისმშობელი კვართით, იესოს გამოსახულებით) ზუგდიდის ცენტრალურ მოედანზე რომ უნდა დადგმულიყო. საპატრიარქოს, ზუგდიდ-ცაიშის ეპარქიისა და მოსახლეობის ძალისხმევით ეს პროექტი, რომელსაც ხელისუფლებაც უჭერდა მხარს, არ განხორციელდა, რადგან სასულიერო პირების საბოლოო განმარტებით, წმინდანის გაკერპება და მისი ძეგლის დადგმა მართლმადიდებლურ ქვეყნებში მიუღებელია.

ბატონმა ვლადიმერ ვახანიამ ამჯერადაც შეახსენა თავი ზუგდიდელებს, ოღონდ უკვე მის მიმართ უსამართლო ქმედებების გამო მხარდაჭერასა და თანადგომას ითხოვს. მან მიმართვის წერილი გაუგზავნა ზუგდიდელებს, რომელშიც აღნიშნულია: **„თანამოქალაქენო, მოგმართავთ თხოვნით, მხარი დამიჭიროთ, გამიწიოთ თანადგომა იმ უკანონო ქმედებების გამო, რომელიც მე შემექმნა 2008 წლის 12 ოქტომბერს თბილისის აეროპორტში: სრულიად უკანონოდ დამაკავეს ერთი საათით, ოქმის გაუფორმებლად ჩამომართვეს რუსეთისა და საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი პასპორტები, პირადი ტელეფონი და მომხსნეს რეისიდან — თბილისი-კიევი-მოსკოვი.**

**მე ამოვწურე კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა. დღემდე ვიმყოფები უსაბუთოდ, რის გამოც შეზღუდულია ჩემი გადაადგილების უფლებები. ხუთი თვეა მოწყვეტილი ვარ ჩემს ოჯახს, რომელიც ჯერჯერობით მოსკოვში ცხოვრობს. დამრჩა ერთი გამოსავალი — მოგმართოთ დახმარებისთვის. ვფიქრობ, თქვენი მხარდაჭერით ამ უსამართლობას ბოლო მოეღება!"**

ასეთ მდგომარეობაშია აკადემიკოსი ვლადიმერ ვახანია, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა საცხოვრებლად თავის ოჯახთან ერთად სამშობლოში დაბრუნებულიყო, მაგრამ... ზემოთ აღწერილი მიზეზის გამო ამას ვერ ახერხებს. **„მე მინდა ჩემს ფესვებს დავუბრუნდე, ჩემმა სამივე შვილმა ჩემს სამშობლოში უნდა იცხოვროს"**, — აცხადებს ვლადიმერ ვახანია, რომელსაც რუსულ-ქართული ომის შემდეგ არაადამიანური პრობლემები შეუქმნეს.

**ლადო ქირია,** ზუგდიდიდან.





## ინფორმაცია

### ახალგორი გაოსურრუსულდა

ახალგორის რაიონში რუსი ოკუპანტები სამხედრო ნაგებობების სამშენებლო სამუშაობს ატარებენ. სოფელ ყანჩავეთის ტერიტორიაზე რამდენიმე ნაგებობა თითქმის დასრულებულია.

გარდა ამისა, სოფელ იკოთში სამხედრო



ყაზარმის მშენებლობა გრძელდება. ინფორმაციას ამის შესახებ რუსი ოკუპანტები ადგილობრივ მოსახლეობასთან პირად საუბარში ადასტურებენ.

ახალგორში შეტანილია ახალი ტრაფარეტებიც, რომლებზეც რუსულად და ოსურად სოფლების სახელმწოდებებია მითითებული.

### ამერიკელები ჩვენთან ბაზებს არ ააშენებენ

აშშ-ს ხელმძღვანელობის გეგმებში საქართველოს ტერიტორიაზე, რუსების მიერ აფხაზეთში ბაზების გახსნის საპასუხოდ, სამხედრო ბაზის განთავსება არ შედის.

ამის შესახებ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგლის თანაშემწემ მეთიუ ბრაიზამ „ინტერფაქსისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

— ჩვენს გეგმებში საქართველოში ასეთი ბაზების გახსნა არ შედის. ამის შესახებ არასდროს არ მითქვმას, რადგან ასეთი გეგმა, უბრალოდ, არ არსებობს, — აღნიშნა ბრაიზამ.

### ცხინვალში სამხედრო ქალაქი შენდება

რუსმა სამხედროებმა ცხინვალში ბაზის პირველი ობიექტების მშენებლობა დაასრულეს. როგორც „რია ნოვოსტი" იუწყება, ამის შესახებ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებაშია ნათქვამი.

— გრძელდება სამხრეთ ოსეთში მეოთხე სამხედრო ბაზის პირადი შემადგენლობის აღჭურვა. ცხინვალში, სამხედრო ქალაქში გაიხსნა და ფუნქციონირებს სასწავლო და სპორტული კომპლექსი, სასადილო, აბანო, ბოსტნეულის შესანახი. სამხედრო მოსამსახურეები განთავსებულნი არიან კეთილმოწყობილ ყაზარმებში, რომლებიც ყველაზე თანამედროვე მოთხოვნებს პასუხობს, — ნათქვამია თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში.

უწყების მონაცემებით, ოფიცრებისა და მათი ოჯახებისთვის ოთხი საცხოვრებელი სახლი უკვე აშენდა. თებერვლის ბოლოსთვის სამხედრო ქალაქში კიდევ ერთი სასწავლო-ადმინისტრაციული შენობა, ტექნიკური აღჭურვილობის საწყობი და ავტოტრანსპორტის სადგომი გაიხსნება. გაზაფხულისთვის კი მთელი ტერიტორიის მოწყობა დაიწყება.

ინტერპრესნიუსი

◉ ფრთხილად, ქართველებო!

(მეოთხე გვერდიდან)

ახლა კი, ამ ფოტოზე, ის დროა „შეჩერებული“, როცა გივი თარგამაძე ვაკე-საბურთალოს მაჟორიტარობაზე იყრის კენჭს. მისი მეტოქე „გამოქალაქებული“, ცნობილი მხატვარი თემურ გოცაძეა. ჰოდა, როგორც ცოტა ხნის წინათ მიშასთვის, ახლა გივიკოს გამო „გადავიჭერი ვენები“ – მის სარეკლამო ერჯერად გაზეთში წერილი გამოვაქვეყნე კომუნისტური მანიფესტის მცირედ პერიფრაზირებული სათაურით: „აჩრდილი დადის საქართველოში, აჩრდილი კომუნიზმისა“. რა თქმა უნდა, აჩრდილში თემურ გოცაძე და მის უკან მდგომი „მოქალაქეთა კავშირი“ მოიაზრებოდა, ხოლო გივი თარგამაძესა და მის უკან მდგომი მიშა სააკაშვილი – ბნელეთის მანათებელი პროგრესი.

ჩემს ფალავანს ისე მოეწონა სტატია, რომ თავის სარეკლამო ერთჯერად გაზეთშიც დასტამბა, რომელიც უმარილო სათაურით – „გივი თარგამაძე“ გამოვიდა. და „ახალ ვერსიაშიც“ დააბეჭდინა.

ახლა ვითომ რაო? რისი თქმა გინდა ამ ვრცელი ისტორიულ-რომანტიკული ექსკურსით, სამართლიანად იკითხავს, ალბათ, მკითხველი. რისი და, ჯერ იმისი, რომ მაშინ, რევოლუციამდე, „რეზონანსში“ ვმუშაობდი, ლამის ყოველ წერილში, შეფარვით თუ პირდაპირ, „დითირამბებს“ ვუძღვნიდი მიშას და მის „ნაცებს“. **მე და ელისო ჩაფიძე ვეკუთვნოდით იმ მცირე გამონაკლისს რედაქციაში, ვისაც გულწრფელად გვჯეროდა სააკაშვილის ჯანსაღი ამბიციებისა და ამიტომ „ვქაჩავდით“ ამ თემას. აქედან გამომდინარე, მეც მიმიძღვის მცირედი წვლილი საზოგადოების „დაბოლებასა“ და „ვარდების გაფურჩქვნაში“.** თუმცა ბოდიშის მოხდას არ ვაპირებ ზოგიერთებივით, რადგან სინდისი სუფთა მაქვს: მერკანტილიზმის გარეშე, იდეის გამო ვიდექი მიშას გვერდში და უანგაროდ ვაკეთებდი იმას, რასაც ვაკეთებდი.

ეს ახლა არის ადვილი იმის თქმა, ვიცოდი რა ბნელი ძალაც მოდიოდა მიშას სახით, და ასეთ გულთმისნობას დღეს, პოსტფაქტუმ, ბევრი იბრალებს. **მე ჩემი რწმენა და, აქედან გამომდინარე, პოზიცია მქონდა, რაც ჩვენი ამჟამინდელი პრეზიდენტის პირადად გაცნობამდე ჩამომიყალიბდა და არა პირიქით. თუმცა ისიც უნდა ვაღიარო, რომ მისი გაცნობის შემდეგ, ჩემი პოზიციები უფრო გამყარდა – აქვს ამ კაცს ისეთი ქარიზმა, რომ ათასები მონუსხოს, მი-შა! მი-შა! – აბღავლოს. ახლაც კი, როცა ყველაფერი ნათელია, როცა ზოგჯერ მის გამოსვლას ვუყურებ, შიგა და შიგ თუ არ ვიჩქმიტე, ვატყობ, რომ ისევ „მაბოლებს“.**

და ყველაზე მთავარი, რამაც წინამდებარე წერილის დაწერა განაპირობა, მავანთა წინასწარმეტყველებაა: მიშა დამთავრებულია, მიშა უნდა გადადგეს, მიშა იქ, აშშ-ში აღარ უნდათ, მიშას წასვლა დროის ამბავია და ა. შ. არ ვიცი, მათ მართლა ასე მარტივად წარმოუდგენიათ საქმე თუ სასურველი რეალობად ეჩვენებათ?

ოპოზიციის გაერთიანება-არგაერთიანებაზე, მანიფესტ-მემორანდუმებზე ხელმოწერა-არმოწერასა და სხვა მრავალზე, მინდა საზოგადოებას ჩემი მოსაზრება გავუზიარო. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, მაქვს იმის უფლება, ამჯერად ლადო ასათიანის პერიფრაზით (გპირდებით, მეტს აღარ ვიხმარ ლექსებსა და სიმღერებს) ვთქვა, რომ, ნაცებო“!

## „მე კარგად გიცნობთ, ვინა ხართ, რა ხართ“

**ოპოზიცია ისე დარწმუნებით აცხადებს, მიშას საქმე წასულიაო, რომ ლამის დავიჯერო, ერთ მშვენიერ დღეს გავიღვიძებთ და აღარც მიშა იქნება და აღარც მისი „ნაცები“.** ამგვარი განწყობის ჩანერგვა იმ ხალხში, ვისი მეშვეობითაც, ანუ ვისი ქუჩაში გამოყვანითაც აპირებ აიძულო პრეზიდენტს გადადგომა, სახიფათოა, რადგან თუ ეს არ მოხერხდა, ისედაც ზღვარზე მისულ ხალხს იმდენად შეიძლება გაუცრუვდეს იმედი და გაუტყდეს გული, რომ მას კაი ხანი დაეკარგოს ყოველგვარი პროტესტის გამოხატვის ხალისი (თუ უკვე არა აქვს დაკარგულიძ.

# რა კარგი იყო მაშინ, ერთად ვიყავით როცა?!



ხშირად პარალელებს ავლებენ შევარდნაძესთან – მასაც არ უნდოდა წასვლა, მაგრამ...

ჯერ ერთი, მიშასა და ედუარდს შორის, მათი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, იმხელა სხვაობაა, როგორც ცასა და მიწას შორის, შევარდნაძე შეიძლება ვინმეს მოსწონდეს ან – არა, მაგრამ მის პირად გამბედაობას, ვაჟკაცობას „ჩასაფრებული“ მტერიც აღიარებს. ეგეც არ იყოს, ის სოლიდური ასაკის გამოც ბუნებრივად იყო „წამსვლელი“. მისი პატივმოყვარეობა ათეული წლების განმავლობაში „გამძლარი“ იყო ძალაუფლების ნარკოტიკით. მის სახელს უკავშირდება ცივი ომის დამთავრება, აქედან დიდი დამსახურება და ავტორიტეტი ჰქონდა დასავლეთში, 2003 წლისათვის ტოტალურ კორუფციაზე დამყარებული რეჟიმი, რომლის ხახაშიც უკვალოდ ქრებოდა დასავლეთის მილიარდები, მიუღებელი აღმოჩნდა აშშ-სათვის. ასევე რუსეთისათვის, თუმცა არა კორუფციის გამო.

და ყველაზე მთავარი – დღეს არავინ დავობს იმაზე, რომ ე. წ. „ვარდების რევოლუცია“ დადგმული სპექტაკლი იყო, რომელშიც მთავარი როლი ვირტუოზული ოსტატობით შეასრულა სააკაშვილმა. გახსოვთ, ალბათ, შევარდნაძის მეგობრის ბეიკერის ვიზიტები და ე. წ. „ბეიკერის ფორმულა“, რაც სინამდვილეში შევარდნაძისთვის ხელშეუხებლობის გარანტია აღმოჩნდა და სხვა არაფერი. პასუხისგებას გადაურჩა შევარდნაძის უახლოესი ოდიოზური გარემოცვაც. აბა, აკაკი ჩხაიძის და შევარდნაძის სიძის რამდენიმედღიანი პატიმრობა რა სახსენებელია, საიდანაც რამდენიმე მილიონის გადახდით დაიხსნეს თავი.

ალარაფერს ვამბობ ერთ დროს მიშას დაუძინებელ მტერზე ვახტანგ (ტუიძ რჩეულიშვილზე, ვისი მეუღლის სახელს ამოფარებული „ცენტრპოინტი“, მიშასთვის კვარაცხელიას ჯიშის მეწველი ძროხაა, სასჯელს გადაურჩა ლევან მამალაძეც, რომელიც რუსეთიდან დაგვცინის, მეტროს ფულიც არა მაქვსო.

დიამეტრალურად განსხვავებული ვითარებაა მიშასა და მის გარემოცვასთან დაკავშირებით: **არავითარი მხარდაჭერა დასავლეთში. განსაკუთრებით აგვისტოს ომისა და მისი პროტეჟე ბუშის ადმინისტრაციის წასვლის შემდეგ. დააკვირდით, რაც მიშა პრეზიდენტია, ასე დიდხანს ვის უნახავს საქართველოდან ფეხგაუდგმელი? ლამის ყველგან პერსონა „ნონგრატაა“ და იმიტომ. ამას წინათ ე. წ. „ნაბუკოს“ პროექტის პრეზენტაციაზე, მიშას „დოსტის“ ალიევის გვერდით გილაური იჯდა(?!). სულ ცოტა ხნის წინათ ასეთ რამეს ვინ წარმოიდგენდა? აშკარად დაკარგა აქტუალობა შალვა ნათელაშვილის ფრთიანმა ფრაზამ – ცაში „ორი თვითმფრინავი რომ დაეჯახოს ერთმანეთს, ორივეში მიშა იჯდებაო“.**

აშშ-ის ახალი პრეზიდენტი ჯერჯერობით არა თუ მარტო სააკაშვილზე არა ძრავს კრინტს, საქართველოზეც კი სიტყვა არ დაუსველებია, რუსეთთან ურთიერთობის პრიორიტეტულობაზე არაერთი განცხადება გააკეთა.

რბილად რომ ვთქვათ, ვერც საშინაო მხარდაჭერით დაიკვეხნის ჩვენი პრეზიდენტი. ასე რომ, ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მიშას საქმე მართლაც დამთავრებულს წააგავს. რაშია საქმე? თავად ხომ არ ვეწინააღმდეგები ამ მიმართებით ჩემს მიერ გამოთქმულ სკეპტიციზმს? სრულიადაც არა, რადგან...

**უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მიშას გარემოცვა. და სწორედ აქ არის ძაღლის თავი დამარხული. პრეზიდენტის უახლოესი გარემოცვა, ასე, დაახლოებით, მაქსიმუმ 10-12 კაცი, პასუხისმგებელია არა მხოლოდ ელიტარულ კორუფციაზე, არამედ გაცილებით მძიმე დანაშაულებზე, რომელთა პატიება, თუნდაც მათი გადადგომის ფასად, შეუძლებელი მგონია.**

მიშა იქნებ „დაავბან“ კიდეც და თანხმობაც ათქმევინონ ჩვენი დამაქცევარი ბუშის ინსტიტუტში დემოკრატიაზე ლექციების კითხვაზე, მაგრამ იგივე სიამოვნებას ვერავინ შეპირდება სააკაშვილის გარემოცვას. მიშა შეიძლება ამ რეალობის მძევალი აღმოჩნდეს და სურვილის შემთხვევაშიც კი ვერ გადადგება. **ეს ახალგაზრდა, ჯან-ღონით და ჩვენი ცოდვით სავსე ხალხი, მისი გარემოცვა, არ მისცემს გადადგომის ნებას. ქართველი ხალხის სისხლსა და ცრემლში გასვრილ მგლებს, მემორანდუმებით დააძრობენ კბილებს? თუ ვინმეს ჰგონია, რომ ნატოს ჯარები დესანტს გადმოსხამენ და ამათ ბორკილებს დაადებენ?**

მაშ სად არის გამოსავალი? ჩემი აზრით, მხოლოდ ერთ რამეში: ყველამ უნდა გავითავისოთ, რომ საქართველო, ქართველი ხალხი ზეამოცანის წინაშე ვდგავართ – ეს ხელისუფლება უნდა წავიდეს! რადგან სხვა შემთხვევაში არა თუ სახელმწიფოს, ქართველ ხალხს, როგორც ეთნოსს, გადარჩენა არ უწერია. ჩვენი ძლევამოსილი ოპოზიცია კი რას სჩადის? ყოველ ცისმარე ახალ ფარატინა ქაღალდებს აწერს ხელს. ამაშიც ვერ თანხმდებიან, ზოგი აწერს, ზოგი – არა. ეს ყველაფერი ძალიან წააგავს კრილოვის ცნობილ იგავ-არაკს.

## „ЛЕбЕДЬ, РАК ДА ЩУКА“

**მერაბ კოსტავას ცნობილ ნათქვამს თუ გავიმეორებთ მცირეოდენი სახეცვლილებით – საკუთარ თავში უნდა გვიყვარდეს სამშობლო და არა სამშობლოში საკუთარი თავი.** ჩვენ კი რას ვაკეთებთ? იქ, თავხედი და უტიფარი ნოღაიდელი-მამრაძის ტანდემი აცხადებს, რომ თურმე ხალხის შეკვეთა ყოფილა არა მიშას გადაყენება, არამედ ის, თუ რა იქნება შემდეგ.

ფუი ჩვენ, ქართველებო, მართლა თუ ასეა! და მეტიც, თუ ასე არ არის, შეკვეთის მიცემას ნოღაიდელისთვის ვაპირებთ?! აქ, ლეიბორისტები აპირებენ იმპიჩმენტობანას თამაშს, ეგერ, ეროვნული ფორუმი აპირებს მიშას ხელისუფლებისთვის რეგიონებში დამბლის დაცემას. სამაგალითოდ ეროვნული მოძრაობა მოჰყავთ, რომელიც 9 აპრილის შემდეგ დე ფაქტო მართავდა ქვეყანას.

**ამაზე იტყვიან, სადა ბანაობთ, ეეე! შარტავა-სანიკიძის ეროვნულობაში იქნებ არც არავის ეპარებოდეს ეჭვი, მაგრამ სად ის, ზვიადისა და მერაბის ეროვნული მოძრაობა, და სად – ეროვნული ფორუმი?** ისიც საინტერესოა, სოფელსა და ქალაქში ე. წ. სამოქალაქო კომიტეტების შექმნის შესახებ მათი იდეა კიდეც რომ განხორციელდეს, როგორ და რით ვაპირებთ ადგილებზე მათ დაცვას? **რა, ვინმემ გააუქმა შსს თუ ციხეებში ადგილები აღარ აქვთ? იქნებ მოსმენა-მიყურადების, შანტაჟის, დაშინების, მოსყიდვის უნარ-ჩვევები დაკარგეს ჩვენმა ძალოვანებმა?**

## ჩვენი ხსნა მხოლოდ გაერთიანებაა

**ჩვენისთანა პატარა ქვეყნების ბედი დედაქალაქებში წყდება. ასე იყო ვარდების რევოლუციის დროს და ასე იქნება ახლაც. სულ მალე 9 აპრილი მოდის. 20 წელიწადი გასულა მას შემდეგ! ჰოდა, 9 აპრილს უნდა დაიწყოს მშვიდობიანი მანიფესტაცია რუსთაველზე, რომელიც არ უნდა დაიშალოს მანამ, სანამ „ნაცები“ არ გადადგებიან.** რატომ 9 აპრილს? არა მხოლოდ იმიტომ, რომ საიუბილეო თარიღია. კლიმატური პირობებიც გასათვალისწინებელია, რადგან პარლამენტის შტურმით აღება გამორიცხულია, ამიტომ რამდენ ხანს მოგვიწევს დგომა, ვერავინ იტყვის.

თბილისში საკითხის გადაწყვეტას კიდევ ერთი პლუსი აქვს. აქციის მონაწილენი უფრო უკეთ შეძლებენ ერთმანეთის დაცვას მოსალოდნელი რეპრესიებისაგან. თუმცა პროვოკაციები ვერ იქნება გამორიცხული. **უფრო მეტიც, ჩემი აზრით, უსისხლოდ ეს ამბავი ვერ დამთავრდება. ესენი ყველაფერზე არიან წამსვლელები და ერთმნიშვნელოვნად ვუთხრათ მათ, გავაფრთხილოთ ისინი, ქუჩის აქციებში ვისი მონაწილეობის იმედიც აქვთ პოლიტიკურ პარტიებს, რომ ყველანი, ვინც ქუჩაში გავალთ, რეალური საფრთხის წინაშე აღმოვჩნდებით და არა ისე, როგორც დღეს ცდილობენ იოლი სურათის დახატვას, სასურველის რეალობად წარმოჩენას – მიშა დამთავრებულია...**

**არ უნდა შეგვეშინდეს, მაგრამ ფრთხილად უნდა ვიყოთ, ჩემო ხალხო, ფრთხილად!..**

**დავით მხეიძე**

◉ გაუტიეს!

# მამაძაღლი სეთური და მოსასპობი თაბაგარი...

**გახსოვთ, ამას წინათ ერთი სტუდენტი მილიონერი რომ გახდა ტელელატარიით? 20 ათასიდან, იმ ერთი იღბლიანის ნომერი ამოსულა ლოტოტრონიდან! მაშინ ვიფიქრე, მაგის ბედი ვინ მომცა-მეთქი, მაგრამ თურმე არც მე ვყოფილვარ უიღბლო.**

ჩემი ნომერი იმ 20-ათას ქუდბედიანს შორის აღმოჩნდა, რომლებიც გაერთიანებული ტელეკომის თაღლითტრონმა ამოაგდო – 2007 წელს 09-ზე დაგირეკია, მოეთრიე და გადაიხადე 97 თეთრი, თორემ ცულს მოვიტან ცუნცულასა და გადაგიჭრი ტელეფონსო, შეგვატყობინეს ჩვენი „მოგების“ შესახებ.

როგორც იყო ავითრიე წელი და მივეთრიე რუსთაველის 31-ში, იმის გასაგებად, მართლა მე დავრეკე 2007-ში თუ გაერთიანებულ ტელეკომში „გარეკეს“. მივედი და პირკატა მეცა – იმხელა რიგი დამხვდა, 1990-იანი წლების პურის რიგები მიმიქარავს. ვისაც ვკითხე, უკლებლივ ყველა ჩიოდა, არ დამირეკავს, ამათი დედა ვატირე, მაგრამ რას დაუმტკიცებ, ისევ გადახდა ვარჩიეო.

თქვე უნამუსო ტელეკომელებო! თაღლითობთ! ისე მაინც გაგვატყავეთ, რომ რიგში მაინც არ დაგვაყენოთ, კომფორტულად მაინც გაგვატყავეთ. ერთი კინკილა მოლარე გიზით, ვინც 20 ათასი ცხვარი უნდა გაპარსოს!..

ახია ჩვენზე, ახი. ტყუპისცალივით ჰგავდა და ამიტომ გამახსენდა სცენა ფილმიდან „დათა თუთაშხია“.

– რას შვებით, ხალხო, რას გევხართ? რას დაგამსგავსათ მამაძაღლმა სეთურმა და მოსასპობმა თაბაგარმა, ვერ ხედავთ?

აფსუს, სად არის სამართალი, დათა ბატონო, შენ შავ ზღვაში უნდა ლპებოდე და მე ამ შავ სტრიქონებს უნდა ვწერდე? ერთი ამათზე შეგახედა. შენი მამაძაღლ-მოსასპობები ამათთან შედარებით ანგელოზებად მოგეჩვენებოდა.

**ჯვებე ხეცია.**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

***გრიგოლ ვაშაძე მოთმინებით ელის მომენტს, როცა მისი ქვეყანა დადებით პასუხს მიიღებს ნატოსგან.***

***ეს კაცი 51 წლისაა, მან დაამთავრა მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტი. დიპლომატია, რომელიც იძულებული გახდა 2006 წელს დაეტოვებინა რუსეთი, რათა ემსახუროს თავის ქვეყანას, ნაწილობრივ საქართველოს პრეზიდენტთან მეგობრობის გამო.***

# „რუსეთს მეზობელთა დაშანტაჟების შესაძლებლობა თუ ექნა, იგი ამით ისარგებლებს“



**— მოსკოვში თბილისს აბრალებენ რუსი ჟურნალისტის ალექსანდრ გლუხოვის მოტაცებას. მართალია?**

— არა, გლუხოვი თავისუფალია გადაადგილების თვალსაზრისით, მაგრამ თუ იგი რუსეთში დაბრუნდა, თავს საპყრობილეში ამოაყოფინებენ. ეს კი თვითმკვლელობაზე უარესია.

**— ნატო ეწინააღმდეგება რუსეთის სამხედრო ბაზების მშენებლობას სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში. იქმნება შთაბეჭდილება, რომ დღევანდლამდე ნატოში მხოლოდ ლაპარაკობენ. თქვენ ელით მისგან ეფექტიან დახმარებას?**

— ვერ დაგეთანხმებით, რომ ნატოში მხოლოდ ლაპარაკობენ. რუსეთი მთლიანად არის იზოლირებული ოსეთისა და აფხაზეთის აღიარების საკითხში. არავინ არ უჭერს მას მხარს ნიკარაგუის, „ჰესბოლისა“ და ჰამასის გარდა. ნატო დაჟინებით მოითხოვს მოსკოვისგან გამოკვეთოს თავისი პოზიცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ — ეს არ არის თამაში, მაგრამ ალიანსი არ აპირებს ომის გაჩაღებას. ეს მორალური მხარდაჭერა ანალოგიურია იმისა, რომელსაც ილებდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ან ავლანეთი საბჭოთა ოკუპაციის დროს. ეს ის არის, რასაც ჩვენ ყველაზე მეტად ვაფასებთ. საქართველოს ძლიერი მორალური და რეალური მხარდაჭერა ხელს უწყობს მისი არმიის განვითარებას.

**— ზოგიერთი ანალიტიკოსი ვარაუდობს, რომ ობამას ადმინისტრაცია არ გაუწევს საქართველოს ისეთსავე დახმარებას ნატოში შესასვლელად, როგორსაც ბუშის ადმინისტრაცია უწევდა. თანახმა ხართ?**

— ჩვენ ამერიკის შეერთებულ შტატებთან ხელს ვაწერთ ისტორიულ დოკუმენტს. ეს ერთი მთავრობისა და ერთი პარტიის საქმე როდია. დოკუმენტი ეძღვნება ამერიკის შეერთებული შტატების დროის გარეშე გარანტიის იურისდიქციას. მე არ ვმონაწილეობ დავაში პოლიტიკურ ანალიტიკოსებთან. მთავარია, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს სტრატეგიული გაერთიანება არის და გრძელდება.

**— 2008 წელს გერმანიამ და საფრანგეთმა დაბლოკეს ნატოში საქართველოს სწრაფი შესვლა. როგორია ესპანეთის პოზიცია?**

— საქმე არ ეხება ამა თუ იმ ქვეყანას. ფაქტი ის არის, რომ საქართველომ ვერ მიიღო ნატოს სასურველი მხარდაჭერა ბუქარესტში გამართულ სამიტზე. იგივე დაემართა უკრაინას. ჩვენ განვაგრძობთ ამ კავშირის მისაღწევად საჭირო გარდაქმნებს. ესპანეთი მხარს გვიჭერს და ძალიან კარგად ესმის ჩვენი პრობლემები. მოხარული ვარ, რომ განსაკუთრებული მეგობრობა მაკავშირებს მორატინესთან.

**— იყო თუ არა ეთნიკური წმენდა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში?**

— უეჭველად. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის სამმა ბოლო დოკუმენტმა დაამტკიცა ეს.

**— მაგრამ პუტინმა დავოსში საქართველოში შექმნილი სიტუაცია შეუდარა ინდოეთში მომხდარ ტერორისტულ აქტებს.**

— ეს აბსოლუტური უაზრობაა. ჩვენ გვაქვს მრავალი მაგალითი იმისა, თუ რა ზეგავლენას ახდენდნენ რუსები მეზობელ ქვეყნებზე: აღმოსავლეთ ბერლინში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ავღანეთში, აზერბაიჯანში, ლიტვაში და ორჯერ საქართველოში.

**— არის თუ არა რაიმე კავშირი „გაზის კრიზისსა“ და საქართველო-რუსეთის ომს შორის?**

— გიპასუხებთ ასე: რუსეთს თუ ექნა მეზობლების დაშანტაჟების შესაძლებლობა, იგი ისარგებლებს ამით. მოსკოვი ყველა საშუალებას იყენებს იმისთვის, რომ საქართველო და უკრაინა ვერ შევიდნენ ნატოში. იგი ყოველ ღონეს ხმარობს ჩვენი სუვერენიტეტის შეზღუდვისთვის. საქართველოში შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ ყველა გვეკითხებოდა, რამდენი ხანი დასჭირდება იმას, რომ პანიკა დაიწყოს უკრაინაში გაზის გამო. ჩვენ პასუხი იანვარში მივიღეთ.

**ხოსე გრაუ**

**ABC**

## მოკლედ



**ამერიკის შეერთებული შტატები არ აპირებს განალაგოს სამხედრო ბაზები საქართველოში**

„ასეთი გეგმები უბრალო არ არის“, — განაცხადეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში. უფრო ადრე მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი იუწყებოდნენ, რომ აფხაზეთში რუსეთის სამხედროების განლაგებას ვაშინგტონი უპასუხებს „ანტიგეგმით“ — შექმნის შემაკავებელ ფაქტორს საქართველოში.

* * *

**ბრიტანეთის საბჭომ შეწყვიტა საქმიანობა ირანში**

საბჭომ განაცხადა, რომ მისი თანამშრომლები თეირანში იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ სამუშაო მას შემდეგ, რაც ისინი პრეზიდენტის კანცელარიაში გამოიძახეს. ირანში ბრიტანეთის საბჭოს შტატში მხოლოდ ირანელები არიან, ბრიტანელებს ვიზებს არ აძლევენ. ორ თანამშრომელს ჩამოართვეს პასპორტები, როცა ცდილობდნენ ირანიდან გაფრენილიყვნენ თათბირზე.

* * *



**ობამამ ხელი მოაწერა კანონპროექტს ბავშვთა სამედიცინო დაზღვევის შესახებ, რომელიც ორჯერ დაბლოკა ბუშმა**

„ნორმალურ საზოგადოებაში არის ზოგიერთი ვალდებულება, რომლებიც არ შეიძლება იყოს ვაჭრობის საგანი, და ბავშვებისადმი სამედიცინო დახმარება ერთ-ერთი ასეთი ვალდებულებაა“. სახსრების მოძიებას აპირებენ იმ გზით, რომ ერთი კოლოფი სიგარეტის ფედერალური გადასახადი 39 ცენტიდან 1 დოლარ და 1 ცენტამდე გაზარდონ.

* * *

**დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს დირექტორის თანამდებობაზე დასახელებული პანეტა კონსულტაციას უწევდა ეროვნული უშიშროების უწყებებთან დაკავშირებულ კომპანიებს**

ამით მან შარშან 700 ათას დოლარზე მეტი გამოიმუშავა. ლეონ პანეტას არა აქვს დაზვერვაში მუშაობის გამოცდილება. ხუთშაბათს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატის დაზვერვის სპეციალურ კომიტეტში გაიმართება მოსმენა მისი კანდიდატურის დასამტკიცებლად.

* * *

**13 წლის ჩინელმა გოგონამ თვითმკვლელობის წინ ღვიძლი ავადმყოფ მამას უანდერძა**

გოგონამ ჩენ ძინმა შინ აღმოაჩინა ცნობა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მისი მამა ღვიძლის კიბოთი არის დაავადებული. ექიმების თქმით, მას სულ სამი თვის სიცოცხლე დარჩენოდა. შოკირებულმა ბავშვმა 200-ზე მეტი პაკეტი დასაძინებელი წამალი გადაყლაპა და დატოვა ბარათი, ჩემი ღვიძლი მამას მიეცითო.



# კავკასიური სტრესები

**საქართველოს ახალმა პრემიერმა ნიკა გილაურმა ახლახან განაცხადა, რომ მინისტრთა კაბინეტი კვლავინდებურად განაგრძობს ბრძოლას ფინანსური კრიზისის წინააღმდეგ — პრეზიდენტ სააკაშვილის ტერმინოლოგიით, „სამხედრო შტაბის რეჟიმით“.** ხელისუფლებას თავის მთავარ დამსახურებად მიაჩნია თბილისის შეუფერხებელი მომარაგება ელექტროენერგიით და ლარის კურსის ვარდნის შეჩერება. რიგითი მოქალაქეები კვლავინდებურად შეწუხებული არიან ელემენტარული გადარჩენის პრობლემებით. ყველაზე მეტად მათ აშინებთ უმუშევრად დარჩენის პერსპექტივა. მოსახლეობა ყოველნაირად ცდილობს შეეგუოს ახალ პირობებს. ადამიანები უკვე შეეჩვივნენ კვების პროდუქტებისა და მომსახურების მყისიერად გაზრდილ ფასებს, დოლარის მიმართ დევალვირებულ ადგილობრივ ვალუტას, რომელმაც ვარდნა შეწყვიტა დოლარში 1,67 ლარის ნიშნულზე. ამან საფუძველი მისცა მიხეილ სააკაშვილს განეცხადებინა, ქართული ვალუტა სტაბილური და გადახდისუნარიანიაო.

დღეს მთავარია უმუშევრად დარჩენის შიში. ჩემი ნაცნობი თეონა თეთრაძე დედაქალაქის ერთ-ერთ დიდ ბანკში მუშაობდა. „ბოლო ხანებში პირდაპირ ვკანკალებდი ჩემი ადგილის გამო — ჩვენთან დიდი შემცირებები იყო. ჯერჯერობით ღმერთმა შემიწყალა“, — მიზიარებდა იგი თავის აზრს გასული წლის ნოემბერში. იანვარში ახალგაზრდა ქალი, რომელიც მარტოკა ზრდის ვაჟიშვილს, მაინც დარჩა უმუშევარი. არ ვიცი, რა ვქნა და რას ვეწიოო, ხშირად იმეორებს იგი.

ბანკის კლერკები ერთ-ერთი პირველნი შეეწირნენ ფინანსურ კრიზისს ქვეყანაში. დამოუკიდებელი წყაროების მონაცემებით, 2008 წლის მიწურულს საქართველოს თითქმის ყველა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებამ მასობრივად დაითხოვა თანამშრომლები. ოფიციალური მონაცემებით, მარტო საქართველოს ბანკმა 830 თანამშრომელი შეამცირა. სულ კი საბანკო სექტორში სამუშაო დაკარგა 1500-მდე კაცმა. არაოფიციალური მონაცემებით, დაზარალებულთა რიცხვი, სულ ცოტა, სამჯერ უფრო მეტია. ექსპერტთა პროგნოზით, უმუშევრობა კიდევ უფრო გაიზრდება. მაგრამ ხელისუფალნი პირობას იძლევიან, რომ პრობლემას გადაჭრის მიმდინარე წლიდან ამოქმედებული სახელმწიფო პროგრამა, რომლის თანახმად, 10 მილიარდი დოლარის უცხოეთის ინვესტიციების დახმარებით 2012 წლისთვის უნდა შეიქმნას 200 ათასი ახალი სამუშაო ადგილი (ქვეყნის ინფრასტრუქტურის განახლების მეშვეობით). როგორც „ნოვიე იზვესტიას“ უთხრა საზოგადოებრივი პროექტების ცენტრის ხელმძღვანელმა გია ხუხაშვილმა, ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის მართლაც გამოიყოფა მნიშვნელოვანი თანხები. „მაგრამ ასეთნაირად შექმნილი სამუშაო ადგილები ვერ წყვეტენ შრომითი მოწყობის გრძელვადიან პრობლემებს. ეს არის ჩვენს ხელისუფალთა თავისებურება, რომლებიც ვერ აზროვნებენ სტრატეგიულად. ისინი კარგი ტაქტიკოსები არიან, წყვეტენ ამწუთიერ პრობლემებს. ეს პროექტი მოკლევადიანია და არ არის მიმართული იქითკენ, რომ გადაიჭრას სისტემური პრობლემები. საინფრასტრუქტურო პროექტებს თავისი სპეციფიკა აქვს — ისინი როდესმე მთავრდებიან. მერე რაღა ქნან ადამიანებმა?“, — თქვა ექსპერტმა. მისი აზრით, არ შეიძლება მხოლოდ უცხოური ინვესტიციების იმედად ყოფნა, ეკონომიკა შეიძლება აღვადგინოთ მხოლოდ შინაგანი პოტენციალის ხარჯზე. ამისთვის კი ხელი უნდა შევუწყოთ ახალი სამუშაო ადგილების შექმნას კერძო სექტორში.

უმუშევრობის ზრდა და ომისშემდგომი სტრესი დაეტყო ქორწინებათა რაოდენობას. სულ უფრო ცოტა ახალგაზრდა ბედავს ახალი ოჯახის შექმნას ესოდენ არასტაბილურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციაში. ეს პრობლემა მტკივნეული აღმოჩნდა საქორწილო ტანსაცმლისა და აქსესუარების გაყიდვასთან და გაქირავებასთან დაკავშირებული ბიზნესისთვის. ამბობენ, რომ აგვისტოში არც ერთი საქორწილო ტანისამოსი არ გაყიდულა თბილისში. ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ კრიზისი შობადობაზეც მოახდენს გავლენას.

„იანვრის პენსია ორი დღით დამიგვიანეს და შევწუხდი, მაგრამ მერე 5 ლარით მეტი თანხა მივიღე, — უთხრა „ნოვიე იზვესტიას“ პედაგოგმა ინა ბარამიამ. — საკითხავი ის არის, შეიძლება თუ არა ერთ თვეს იმყოფინო 85 ლარი (51 დოლარი. — „ნოვიე იზვესტია“ქ?“. საარსებო მინიმუმი ქვეყანაში ვალუტის გამოხატულებით 120 დოლარს შეადგენს ერთ სულ მოსახლეზე, მაგრამ ეს მონაცემები, ექსპერტთა აზრით, ერთობ არაზუსტია. ყველა როდი უძლებს ქრონიკული უფულობით გამოწვეულ ძნელბედობას. ახლახან თბილისელები შოკში ჩააგდო ინფორმაციამ დედაქალაქის ერთ-ერთი სკოლის ინგლისური ენის მასწავლებლის 40 წლის ნაზი კუბლაშვილის თვითმკვლელობის შესახებ, რომელმაც თავი ვალების გამო მოიკლა. ამ ფონზე გაოცება გამოიწვია იმან, რომ ხელფასი მოუმატეს სახელმწიფო მოხელეებს — პრეზიდენტის ბრძანებულებით ადგილობრივ ადმინისტრაციათა თავმჯდომარეების პირველ მოადგილეებს მოემატათ 160, უბრალო მოადგილეებს კი — 115 დოლარი.

**ირინა ბარამიძე**

**НОВЫЕ ИЗВЕСТИЯ**

ინფორმაცია

## მოსკოვში ქართველი ბიზნესმენი მოკლეს

ტელეკომპანიის „ვესტის“ ინფორმაციით, ლენინგრადის გამზირზე შეკვეთილი მკვლელობა მოხდა. მოკლულია ქართველი ბიზნესმენი, რომელიც მოსკოვში ნავთობპროდუქტებით ვაჭრობის საშუამავლო ბიზნესით იყო დაკავებული.

მკვლელობა დაახლოებით ღამის პირველ საათზე მოხდა, როდესაც ქართველი ბიზნესმენი ძაღლს ასეირნებდა.

ტელეკომპანიის ცნობით, ოპერატიულმა ჯგუფმა ვერ შეძლო საჭირო სამუშაოს განხორციელება, რადგან ძაღლმა მოკლულთან პოლიციელები არ მიუშვა. გამომძიებლებს მოუწიათ, კინოლოგების მისვლამდე დაეცადათ.



## ჟურნალისტებს „კაცურად უსწორდება“

ჩოხატაურის საკრებულოს თავმჯდომარის ანტონ ხუნდაძის მიერ გაზეთის „გურია ნიუსის“ ჟურნალისტების მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტებს „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია) აპროტესტებს.

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე თამარ ხიდაშელმა და რეგიონული მედიის ასოციაციის თავმჯდომარე ია მამალაძე გუშინ ამ თემასთან დაკავშირებით ერთობლივი ბრიფინგი გამართეს.

ბრიფინგზე საია-მ წარმოადგინა აუდიო ჩანაწერი, სადაც ხუნდაძე ღიად ამბობს, რომ იმ ჟურნალისტს, რომელმაც მას აწყენინა „კაცურად გაუსწორდება“.

როგორც ჟურნალისტების ნათქვამიდან ირკვევა, ხუნდაძე ყოველთვის თავს არიდებს ინტერვიუს მიცემას და მედიის წარმომადგენლებთან მხოლოდ წერილობით, კითხვა-პასუხის რეჟიმით შემოიფარგლება, ისიც იშვიათად.

ასევე, ჟურნალისტები პრობლემებს აწყდებიან საკრებულოდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის დროს, — აღნიშნა საია-ს თავმჯდომარემ.

საია ხელისუფლებას მოუწოდებს, ადეკვატური შეფასება მიეცეს რეგიონალურ მედიაზე ზეწოლის გახშირებულ ფაქტებს და არც ერთი შემთხვევა არ დატოვოს სათანადო რეაგირების გარეშე.

## წნორში მოსწავლე დაჭრეს

გუშინ დილით, წნორის №2 საჯარო სკოლის რუსული სექტორის მე-11-ე კლასის მოსწავლე გოდერძი ჯანყარაშვილი ცივი იარაღით დაჭრეს.

როგორც რადიო „ჰერეთი“ იუწყება, დაჭრილი წნორის რაიონულ საავადმყოფოში სასწრაფო დახმარების მანქანით გადაიყვანეს, სადაც მას სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა. ექიმები აცხადებენ, რომ არასრულწლოვანის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის მძიმეა.

უცნობია დამნაშავის ვინაობა. ჯანყარაშვილის მეგობრების თქმით კი, გოდერძის უცხო ბიჭებთან შელაპარაკება მოუხდა.

ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

ინტერპრესნიუსი

# განცხადებები აუქციონების ჩატარების შესახებ

**ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 20 თებერვალს 13:00 საათზე, ტყიბულში, კარლო ლომაძის №3-ში (ტყიბულის ყოფილი რაიონული საგადასახადო ინსპექციის შენობაში) ს/ს „ნავთობპროდუქტის“ ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს აუქციონს.**

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1. მიწის ნაკვეთი – არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნავთობბაზის ტერიტორია – 12500 კვ.მ., - შეფასებულია – 120000 ლარად;
2. მიწის ნაკვეთი – არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სამრეცხაოს ტერიტორია – 506 კვ.მ., - შეფასებულია 5000 ლარად;
3. მიწის ნაკვეთი – არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მეღორეობის ფერმის ტერიტორია – 2820 კვ.მ., - შეფასებულია – 12000 ლარად;
4. ადმინისტრაციული შენობა – შენობა ორსართულიანია, აშენებულია აგურით – 373 კვ.მ., - შეფასებულია – 15000;
5. ფერმა (დამხმარე მეურნეობა) – **პირველი შენობა** – 387 კვ.მ., - შეფასებულია – 20000 ლარად; **მეორე შენობა** – 159,4 კვ.მ., - შეფასებულია – 10000 ლარად; **მოსასვენებელი** – 25,3 კვ.მ., - შეფასებულია – 3500 ლარად;
6. სამრეცხაო (ავტომობილების) - შენობა ერთსართულიანია – 371 კვ.მ., - შეფასებულია – 12000 ლარად;
7. რეზერვუარი – 100 კუბ.მ., (7 ცალი) - შეფასებულია – 56000 ლარად;
8. რეზერვუარი – 400 კუბ.მ., (2 ცალი) - შეფასებულია – 50000 ლარად;
9. რეზერვუარი – 200 კუბ.მ., (2 ცალი) - შეფასებულია – 30000 ლარად;
10. ნავთობის დამჭერი;
11. წყლის ავზი – 24 კუბ.მ., - შეფასებულია – 1500 ლარად;
12. ესტაკადა – 2 ცალი – შეფასებულია – 2800 ლარად;
13. ღობე ლითონის – შეფასებულია – 2500 ლარად;
14. ამწე – შეფასებულია – 150 ლარად;
15. სამრეცხაო დანადგარი – შეფასებულია – 8000 ლარად;
16. ავტოგასამართი სადგურის სვეტი – 2 ცალი – შეფასებულია – 20 ლარად;
17. ელექტროპულტი – შეფასებულია – 10 ლარად;
18. სასწორი – შეფასებულია – 1500 ლარად;
19. ტრანსფორმატორი – 250 კვტ. – შეფასებულია – 12000 ლარად;
20. მოტოპომპა – შეფასებულია 100 ლარდ;
21. ტუმბო („ნასოსი“) – შეფასებულია – 350 ლარად;
22. შესადუღებელი აპარატი – შეფასებულია – 300 ლარად;
23. კარადა 2ცალი – შეფასებულია 120 ლარად; მაგიდა 4 ცალი – შეფასებულია – 150 ლარად; ტუმბო 2ცალი – შეფასებულია – 20 ლარად;
24. სპეცავტომობილი – „კო-5036“ – შეფასებულია – 800 ლარად;
25. ტრაქტორი „დტ-75ბ“ – შეფასებულია – 8000 ლარად;
26. მინი ტრაქტორის ურიკა – შეფასებულია – 150 ლარად;
27. მინი ტრაქტორის ძრავი – შეფასებულია – 1000 ლარად;
28. ავტომობილი „გაზ-53-04“ – შეფასებულია – 900 ლარად;
29. ავტომობილი „გაზ-52-04“ – შეფასებულია – 950 ლარად;
30. ავტომობილი „გაზ-24“ – შეფასებულია – 200 ლარად.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 375020 (სამასსამოცდათხუთმეტიათას ოცი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია).

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

**ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. 1**

**ტელ.: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79**

**ქუთაისის საგადასახადო ინსპექცია 2009 წლის 20 თებერვალს 14:00 საათზე, ქ.ტყიბულში, კარლო ლომაძის №3-ში (ტყიბულის ყოფილი რაიონული საგადასახადო ინსპექციის შენობაში) შპს ტყიბულის მეფრინველეობის ფაბრიკა „ახალსოფლის“ ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს აუქციონს.**

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1. კანტორის შენობა, კაპიტალური, ორსართულიანი, შლაბლოკის, ზომა 12,15X10,4კვმ. დახურულია შიფერით, სარემონტოა, შეფასებულია 5000 ლარად,
2. სან. გამშვების შენობა, კაპიტალური, ერთსართულიანი, ზომით 37,5X12კვმ, კედლები ჩამოშლილია, შესაძლებელია აგური და „პეკაქების“ გამოყენება, შეფასებულია 650 ლარად,
3. კვერცხის საწყობი, აგურის ერთსართულიანი შენობა, ზომით 15,5X12,4კვმ, დახურვა „პეკაქის“, აღსადგენია, შეფასებულია 1200 ლარად,
4. საქლორატო, შენობა დახურული პეკაქით, ზომით 4X3კვმ. შეფასებულია 100 ლარად,
5. საყარაულო ჯიხური, კაპიტალური აგურის შენობა, დახურვა შიფერის, ზომა 2,55X2,75კვმ. შეფასებულია 250 ლარად,
6. სატრანსფორმატორო, კაპიტალური, აგურის შენობა, დახურული სიმკარით, ზომა 10X5,75კვმ. შეფასებულია 1000 ლარად,
7. ინკუბატორის შენობა, კაპიტალური, დანგრეულია დიდთოვლობის გამო, ზომა 18,55X12კვმ, შეიძლება გამოყენებული აგური, პეკაქი, რკინაბეტონის კოჭი, შეფასებულია 1000 ლარად,
8. შენობის ვეტ. ბლოკი, კაპიტალური აგურის შენობა, დახურული პეკაქით, ზომით 12,6X12კვმ. შეფასებულია 1200 ლარად,
9. საფრინველე □2, დანგრეულია დიდთოვლობის გამო, ვარგისია აგური, შეფასებულია 400 ლარად,
10. საფრინველე □4, დანგრეულია დიდთოვლობის გამო, ვარგისია აგური, შეფასებულია 320 ლარად,
11. საქვაბე, აგურის და შლა-ბლოკის, დანგრეულია, შეფასებულია 800 ლარად,
12. ძვ. ინკუბატორის შენობა, აგურის, ზომა 12,15X7კვმ, საჭიროებს რემონტს, შეფასებულია 900 ლარად,
13. ელექტროქვესადგური, რკინის, ზომა 2X2, შეფასებულია 150 ლარად,
14. სავენტილაციო დანადგარი, ვარგისია ძრავი, შეფასებულია 150 ლარად,
15. სამაცივრე დანადგარი, ჯართი 0,5 ტ. შეფასებულია 80 ლარად,
16. ინკუბატორი (1-2) ჯართი 0,5 ტ. შეფასებულია 80 ლარად,
17. კონდენსატორი, ჯართი 0,2ტ. შეფასებულია 30 ლარად,
18. წყლის გამაცხელებელი, უვარგისი, შეფასებულია 10 ლარად,
19. საბეჭდი მანქანა, შეფასებულია 10 ლარად,
20. ცეცხლგამძლე სეიფი, შეფასებულია 80 ლარად,
21. ჯართი 6 ტ. შეფასებულია 900 ლარად,
22. ელ. ვენტილატორი 2ც. შეფასებულია 40 ლარად,
23. ელგამშვები „კლაპანი“ შეფასებულია 40 ლარად,
24. აუზი სახანძრო, სარემონტო, შეფასებულია 50 ლარად,
25. გზა საფრინვ. ძველი, აღსადგენი, შეფასებულია 20 ლარად,
26. ელკამერა 6ც. 5 უვარგისი, შეფასებულია 40 ლარად,
27. კანალიზაცია, აზბესტის მილები, შეფასებულია 100 ლარად,
28. ნაკელსაცავი, დანგრეული, შეფასებულია 25 ლარად,
29. დეზ-ბარიერი, შეფასებულია 200 ლარად,
30. ბეტონის საყრდენები, 60 ცალი, 120 ლარი,
31. ბეტონის ბოძები, 31 ცალი, 2480 ლარი,
32. ბეტონის წყალგამტარი, 120 ცალი, 1200 ლარი,
33. შიფერი 87ც. 435 ლარი,
34. წყლის სათავე ნაგებობა, აღსადგენია, შეფასებულია 400 ლარად,

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 19460 (ცხრამეტიათას ოთხასსამოცი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუ ქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

**ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. 1.**

**ტელ.: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79**

# განცხადებები აუქციონების ჩატარების შესახებ

ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 25 თებერვალს დღის 12.00 საათზე ქუთაისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) შენობაში (მის. ქუთაისი, რუსთაველის 1) შპს „პოლიმერი-93"-ის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს განმეორებით ღია აუქციონს.

შპს „პოლიმერი-93"-ის ქონება მდებარეობს ქუთაისში, ნიკეას ქ. №12-ში და ახალგაზრდობის პროსპექტი №98-ში. სარეალიზაციოდ გამოტანილი შპს „პოლიმერი-93"-ის უძრავ-მოძრავი ქონება.

| № | ქონების დასახელება | ქონების ზომის ერთეული და რაოდენობა | ქონების საწყისი ფასი ლარებში (შეფასებულია აუდიტის ექსპერტის მიერ) | ქონების მოკლე აღწერა |
|---|---|---|---|---|
| შენობა-ნაგებობები | | | | |
| 1 | [illegible] | 1ც | 4000 | მუშა მდგომარეობაში [illegible] |
| 2 | [illegible] | 1ც | 5000 | [illegible] მუშა მდგომარეობაში |
| 3 | [illegible] | 1ც | 1500 | მუშა მდგომარეობაში |
| 4 | [illegible] | 1ც | 150 | მუშა მდგომარეობაში |
| | | | 10650 | |

სულ შპს „პოლიმერი 93"-ის სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადაგენს 10650 (ათი ათას ექვსას ორმოცდაათი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიში.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ მისამართზე: ქუთაისი, რუსთაველის გამზ. 1, ტელ. 4-20-95, 4-45-79.

---

ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 27 თებერვალს დღის 12.00 საათზე ქუთაისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) შენობაში (მის. ქუთაისი, რუსთაველის 1) სს „სარკმელი"-ს ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს განმეორებით ღია აუქციონს.

სს „სარკმელი"-ს ქონება მდებარეობს ქუთაისში, მშენებლის ქ.№10-ში. სარეალიზაციოდ გამოტანილი სს „სარკმელი"-ს უძრავ-მოძრავი ქონება.

| № | ქონების დასახელება | ქონების ზომის ერთეული და რაოდენობა | ქონების საწყისი ფასი ლარებში (შეფასებულია აუდიტის ექსპერტის მიერ) | ქონების მოკლე აღწერა |
|---|---|---|---|---|
| შენობა-ნაგებობები | | | | |
| 1 | [illegible] №1 | [illegible] | 30000 | [illegible] |
| 2 | [illegible] №2 | [illegible] | 65000 | [illegible] |
| 3 | [illegible] №3 | [illegible] | 60000 | [illegible] |
| 4 | [illegible] №4 | [illegible] | 2000 | [illegible] |
| 5 | [illegible] №5 | [illegible] | 5000 | [illegible] |
| სულ | | 162000 | | |
| [illegible] | | | | |
| | [illegible] | 1 | 35000 | [illegible] |
| | [illegible] | 1 | 20000 | [illegible] |
| | [illegible] | 1 | 15000 | [illegible] |
| სულ | | 70000 | | |
| | | | 232000 | |

სს „სარკმელი"-ს სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადაგენს 232000 (ორასოცდათორმეტი ათასი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიში.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ მისამართზე: ქუთაისი, რუსთაველის გამზ. 1, ტელ. 4-20-95, 4-45-79

---

ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 24 თებერვალს დღის 12.00 საათზე ქუთაისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) შენობაში (მის. ქუთაისი, რუსთაველის 1) საცდელ-მექანიკური ქარხანა „უნივერსალი"-ს ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს განმეორებით ღია აუქციონს.

საცდელ-მექანიკური ქარხანა „უნივერსალი"-ს ქონება მდებარეობს ქუთაისში, მშენებლის ქ.№10-ში. სარეალიზაციოდ გამოტანილი საცდელ-მექანიკური ქარხანა „უნივერსალი"-ს უძრავ-მოძრავი ქონება.

| № | ქონების დასახელება | ქონების ზომის ერთეული და რაოდენობა | ქონების საწყისი ფასი ლარებში (შეფასებულია აუდიტის ექსპერტის მიერ) | ქონების მოკლე აღწერა |
|---|---|---|---|---|
| შენობა-ნაგებობები | | | | |
| 1 | [illegible] | 720კვ.მ | 57800 | [illegible] 35% |
| 2 | [illegible] | 260კვ.მ | 15400 | [illegible] 40% |
| სულ | | 73200 | | |
| [illegible] | | | | |
| 1 | [illegible] | 1ც | 1500 | მუშა მდგომარეობაში |
| 2 | [illegible] | 1ც | 1500 | მუშა მდგომარეობაში |
| 3 | [illegible] | 1ც | 1500 | მუშა მდგომარეობაში |
| 4 | [illegible] | 1ც | 500 | მუშა მდგომარეობაში |
| 5 | [illegible] | 1ც | 2100 | მუშა მდგომარეობაში |
| 6 | [illegible] | 1ც | 100 | მუშა მდგომარეობაში |
| 7 | [illegible] | 1ც | 800 | მუშა მდგომარეობაში |
| 8 | [illegible] | 1ც | 400 | მუშა მდგომარეობაში |
| 9 | [illegible] | 1ც | [illegible] | მუშა მდგომარეობაში |
| 10 | [illegible] | 1ც | 1900 | მუშა მდგომარეობაში |
| სულ | | 10560 | | |
| | | | 83760 | |

საცდელ-მექანიკური ქარხანა „უნივერსალი"-ს სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადაგენს 83760 (ოთხმოცდასამი ათას შვიდასსამოცი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიში.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ მისამართზე: ქუთაისი, რუსთაველის გამზ. 1, ტელ. 4-20-95, 4-45-79.

---

ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 26 თებერვალს დღის 12.00 საათზე ქუთაისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) შენობაში (მის. ქუთაისი, რუსთაველის 1) შპს „ფარი-12"-ის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს განმეორებით ღია აუქციონს.

შპს „ფარი-12"-ს ქონება მდებარეობს თერჯოლის რაიონი, სოფელი სარბევი, კვახჭირის ასფალტო ბეტონის ქარხნის ტერიტორიაზე. სარეალიზაციოდ გამოტანილი შპს „ფარი-12"-ს უძრავ-მოძრავი ქონება.

| № | ქონების დასახელება | ქონების ზომის ერთეული და რაოდენობა | ქონების საწყისი ფასი ლარებში (შეფასებულია აუდიტის ექსპერტის მიერ) | ქონების მოკლე აღწერა |
|---|---|---|---|---|
| შენობა-ნაგებობები | | | | |
| 1 | [illegible] | 1ც | 15000 | კარგ მდგომარეობაში |
| | | | 15000 | |

სულ შპს „ფარი-12"-ს სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადაგენს 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიში.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ მისამართზე: ქუთაისი, რუსთაველის გამზ. 1, ტელ. 4-20-95, 4-45-79.

**რაგბი**



# მასპინძლები მზად არიან

**უკვე გაუწყეთ, რომ შაბათს, 17 საათზე, გერმანიის ქალაქ ჰაიდელბერგის სტადიონზე მორაგბეთა ევროპის ერთა თასის გათამაშების პირველ მატჩში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან ქართველთა და ალემანთა ნაკრები გუნდები.** ბორჯღალოსნები პარიზის გარეუბანში ემზადებიან ახალი სეზონისთვის, მასპინძლები კი ჰაიდელბერგში გადიან წვრთნას. გერმანელები ქართველებს ასეთი შემადგენლობით დაუპირისპირდებიან: კირონ დევისი, ბენიამინ კრაუზე, ბენიამინ ზიმი, რობერტ მოჰრი, კლემენს ვონ გრუმბკოვი, ალექს ვიდეკერი, კეჰომა ბრენერი, ტიმ კოლი, პიერ ფაბერი, მუსტაფა გიუნგიორი, ედმორ ტაკაენდეზა, მანუელ ვილჰელმი, ბენ ბრიელეი, როლფ ვაჩა, ლარს ესკერტი, მარტენ სტრაუჩი, ტიმ კასტენი, დამიენ ტუსაკი, ალექს ჰუგი, იენს შმიდტი, ტორსტენ ვიედემანი, ბოდო სიებერი, მიქაელ პოპმეიერი, ჯეიმს რიდი.

**ოლიმპიზმი**

# შორია სინგაპურამდე?

**შარშანწინ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა თავის გენერალურ ასამბლეაზე პირველი ზაფხულის მსოფლიო ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა სინგაპურს დაავალა.** ეს შეჯიბრება 2010 წლის 14-26 აგვისტოს გაიმართება სპორტის 26 სახეობაში. მედლებისთვის 14-18 წლის 3200 ათლეტი იასპარეზებს. მათ შორის, ცხადია, ქართველებიც იქნებიან. ისინი ამ ორთაბრძოლებისთვის აქედანვე ემზადებიან, რადგან სინგაპურში გასამგზავრებლად საგზურებია საჭირო. მალე საერთაშორისო სალიცენზიო ტურნირებიც გაიმართება.

**ფეხბურთი**



# წილი ნაყარია

**წლეულს 28 მარტს დაიწყება და გაისად 7 სექტემბერს დასრულდება 21 წლამდე ასაკის ახალგაზრდა ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი.**

ჯგუფებში გამარჯვებული 10 ნაკრები და 4 საუკეთესო მეორეადგილოსანი ორმატჩიან პლეიოფში გაარკვევს ფინალური ეტაპის მონაწილე 7 გუნდს, რომელთაც 2011 წელს დაემატებიან გადამწყვეტ რაუნდში ავტომატურად დაშვებული მასპინძლები – დანიელები.

ქალაქ ორჰუსში გამართულმა კენჭისყრამ ქართველ გულშემატკივარს ოპტიმიზმის საფუძველი მისცა – „ჯვაროსნებს“ მართლაც რომ გაუმართლათ, თუმცა მთავარი მაინც ის კონდიციები იქნება, რომლამდეც ბიჭებს ჩვენს თანამემამულეთა ახალი თავკაცი კახი ცხადაძე მიიყვანს.

**გთავაზობთ სკანდინავიაში დატრიალებული „რულეტკის“ სრულ შედეგებს:**

**I ჯგუფი.** რუსეთი, რუმინეთი, მოლდოვა, ლატვია, ფარერები, ანდორა.

**II ჯგუფი.** თურქეთი, შვეიცარია, სომხეთი, ირლანდია, საქართველო, ესტონეთი.

**III ჯგუფი.** იტალია, უნგრეთი, უელსი, ბოსნია, ლუქსემბურგი.

**IV ჯგუფი.** ესპანეთი, ფინეთი, ჰოლანდია, პოლონეთი, ლიხტენშტაინი.

**V ჯგუფი.** გერმანია, ჩეხეთი, ჩრდილოეთ ირლანდია, ისლანდია, სან-მარინო.

**VI ჯგუფი.** ისრაელი, შვედეთი, ბულგარეთი, ჩერნოგორია, ყაზახეთი.

**VII ჯგუფი.** სერბეთი, ხორვატეთი, ნორვეგია, სლოვაკეთი, კვიპროსი.

**VIII ჯგუფი.** საფრანგეთი, უკრაინა, ბელგია, სლოვენია, მალტა.

**IX ჯგუფი.** ინგლისი, პორტუგალია, საბერძნეთი, მაკედონია, ლიტვა.

**X ჯგუფი.** ავსტრია, ბელარუსი, შოტლანდია, ალბანეთი, აზერბაიჯანი.

**კალათბურთი**

# ოქმის ენით

**გაიმართა ევროპის საკლუბო თასის გათამაშების ჯგუფური რაუნდის II ტურის შეხვედრები. გაუწყებთ მათ შედეგებს.**



**I ჯგუფი.** ხიმკი – დინამო (მოსკოვი) 69:77, პანელინიოსი – მარუსი 59:71.

მარუსი, დინამო (მოსკოვი) – 2-2, პანელინიოსი, ხიმკი – 0-0 მოგება.

**II ჯგუფი.** ზადარი – ბენეტონი 76:84, უნიქსი – ტელეკომი 72:57.

ბენეტონი – 2, უნიქსი, ტელეკომი – 1-1, ზადარი – 0 მოგება.

**III ჯგუფი.** ვალენსია – ჰემოფარმი 65:60, აზოვმაში – ცრვენა ზვეზდა 62:74.

ვალენსია – 2, ჰემოფარმი, ცრვენა ზვეზდა – 1-1, აზოვმაში – 0 მოგება.

**IV ჯგუფი.** ლიეტუვას რიტასი – ბილბაო 73:71, ერტლანდი – შარლერუა 82:94.

შარლერუა – 2, ბილბაო, ლიეტუვას რიტასი – 1-1, ერტლანდი – 0 მოგება.

**ინტერნეტიდან**

## ოლიმპიური მედლის გადაგდებისთვის... პრემია

**უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე 14 აგვისტოს გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიაზე შვედმა ბერძნულ-რომაულმა მოჭიდავემ არამ აბრამხანიანმა დემონსტრატიულად მოისროლა ბრინჯაოს მედალი იტალიელ ანდრეა მინტუცისთან ჭიდაობისას არასწორი მსაჯობის პროტესტის ნიშნად.**

აგვისტოში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით აბრამხანიანს ჩამოერთვა მედალი ოლიმპიურ ქარტიასთან შეწინააღმდეგებისა და უპატივცემულობის გამოჩენისთვის. ამავე დროს მიესაჯა ორწლიანი დისკვალიფიკაცია და დაჯარიმდა 3 ათასი შვეიცარული ფრანკით.

გამოხდა ხანი და სრულიად შვედეთის საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ ALL Fair შერისხულ სპორტსმენს მიანიჭა „სამართლიანობის პრემია“, რადგან მაშინ შვედეთის წარმომადგენელმა ეს უსამართლო გადაწყვეტილება გადააქცია სპორტში სამართლიანობის დაცვის გაბედულ და ღირსეულ მანიფესტად.





## მსოფლიოს უდიდესი სტადიონი დაიკეტა

**სწორედ რომ ასეა, 2 წლით დაიკეტა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სტადიონი „მარაკანა“. ამ ბრაზილიურ სტადიონზე 2014 წელს უნდა გაიმართოს ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის რამდენიმე მატჩი, მათ შორის ფინალიც.** რეკონსტრუქციის პროექტი, რომლის მიხედვითაც უნდა შენარჩუნდეს სტადიონის ადრინდელი სახე, შეფასებულია 200 მილიონ დოლარად, ტრიბუნებს გადაეფარება საჩეხი, მთლიანად შეიცვლება პრესის ლოჟა, გაიზრდება სტადიონიდან გასასვლელების რიცხვიც, რაც მაყურებლებს სტადიონს რვა წუთში დაატოვებინებს, როგორც ამას ფიფა მოითხოვს. იქამდე კი „ფლამენგოს“, „ფლუმინენსესა“ და „ბოტაფაგოს“ საშინაო მატჩებისთვის სულ სხვა სტადიონების ძებნა მოუწევთ.

## ახალი დისციპლინა — სლოუპსტაილე

**გუშინ იტალიურ ბარდონეკიეში დაწყებულ მსოფლიო თასის ეტაპზე გამოჩნდა სპორტის ახალი სახეობა – სლოუპსტაილე (ფრისტაილის მრავალსახეობაძ.** ის შარშან, ნოემბერში ფინეთის ლევიში გამართულ სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის (Fisძ სხდომაზე შეიტანეს პროგრამაში. ალბათ, ეს სახეობა შევა 2011 წლის მსოფლიო ჩემპიონატის, ხოლო შემდეგ ოლიმპიური თამაშების პროგრამებშიც.

როგორც ამბობენ, ეს სპორტის ძალზე სანახაობრივი დისციპლინაა, რომელსაც სჭირდება სპორტულ ნაგებობათა მთელი კომპლექსი: ტრამპლინები, ბორდიურები, საფეხურები და ა.შ.

## კალათბურთელის სატრფო მსოფლიოს იპყრობს

**დიახ, ასეა. მსოფლიოს დაპყრობას აგრძელებს ნბა-ს კლუბის „მემფისის“ სერბი ლეგიონერის მარკო იარიჩის სატრფო, ცნობილი ბრაზილიელი მოდელი ადრიანა ლამა. მომავალი ვალენტინობის დღესასწაულისთვის ქვედა თეთრეულის დამამზადებელმა კომპანიამ Victoziais Seczet გამოუშვა საგანგებო სერია, რომელიც შედგება კორსეტის, წვივსაკრავისა და ბიუსტჰალტერისგან, მისი მთავარი რეკლამა მიენდო ნიდერლანდელ ტოპ-მოდელ დაუტცეან კრეზსა და ლამას.**



ამბობენ, რომ იარიჩისა და ლამაზმანის ქორწილი წლეულს, ივნისში გაიმართება ბრაზილიაში. ლამა ოთხი შვილის გაჩენას აპირებს.

⊙ წარდგენა

# „თავისუფლების“ დღიურები — 2008

**6 თებერვალი, 2008 წელი, თემურ იაკობაშვილი, რეინტეგრაციის მინისტრი. აი, მისი დღიურის ჩანაწერი: „ოპტიმიზმი იზრდება, მოლოდინი იზრდება, კიდევაც დამიმატეს საქმეები. იმის გარდა, რომ ჩემგან ქართველები ელიან რაღაცას, ახლა ეს მოლოდინი უცხოელებსაც გაუჩნდათ. ვაი, ჩემს პატრონს უბედურს!..“**

9 თებერვალი, „ვემზადებით ჟენევისთვის. ჟენევის შეხვედრა, სადაც აფხაზებთან პირველი დიალოგი გაიმართება, ალბათ, ყველაზე სერიოზულია... ჩვენც ვემზადებით ჟენევისთვის. ოღონდ მთავარია, რომ იქ შეხვედრა ჟენევის ტბის დათვალიერებით არ ამოიწუროს და, თუ ჩვენი მოსახლეობის ჟენევაში გადაბარგება ვერ უზრუნველვყავით, საქართველო მაინც გავხადოთ შვეიცარია...“

საინტერესო ჩანაწერებია. წელიწადი გავიდა მას შემდეგ. აფხაზებთან მოლაპარაკება ვერ შედგა, ჟერჟეროებით, არც საქართველოა შვეიცარია, მაგრამ მინისტრის სურვილი, სურვილად დარჩა და ამის შესახებ გაიგო ყველამ, ვინც **„თავისუფლების“** დღიურები — 2008 წაიკითხა.




წიგნში ორმოცდათორმეტი სხვადასხვა პროფესიის ადამიანის ერთი კვირის განმავლობაში მიღებული შთაბეჭდილებები და ფაქტებია ასახული. 1 იანვრიდან — 1 იანვრამდე ადამიანთა ცხოვრების ქრონიკები ბუნებრივად გაიყო ორ ნაწილად: აგვისტოს ომამდე და ომის შემდეგ.

რადიო „თავისუფლება“ ამ ქრონიკების საჯარო ასახვის და დღიურების წიგნად აკინძვის ინიციატორია. 2006 წელი, 2007 წელი, 2008 წელი... ჩანაწერების აკინძვა კი კვლავ გრძელდება. საზოგადოებისთვის ნაცნობი თუ უფრო ნაკლებად ნაცნობი ადამიანები ყოველდღიურობას ემოციითა და შიშითაც კი აღწერენ, რადგან იციან, რომ მათ 7 დღეს სულ მალე დაინტერესებული მკითხველი წაიკითხავს და ეს არ იქნება საიდუმლო, პირადული, მხოლოდ მათი...

„ამბობენ, ჩვეულებრივი მოქალაქეების მოთხრობებში ისტორია მეტი სიმძაფრით აისახება, ვიდრე მემატიანეების ქრონიკებშიო. როცა ასეთ ჩანაწერებს ეცნობი, უკეთ ხვდები, რა იგულისხმება ამ ნათქვამით“, — წერს პროექტის ავტორი და წიგნის შემდგენელი დავით კაკაბაძე. მასთან ერთად წიგნის გამოცემაში დიდი შრომა ჩადეს მარინე ვაშაყმაძემ, ნინო როდონაიამ, რედაქტორმა ცისანა ნიკოლაიშვილმა, დიზაინერმა პაატა ნაცვლიშვილმა. პროდიუსერები გიორგი შავყილაძე და ლუკა გოცირიძე არიან, ხოლო დღიურების ავტორები — რეალური თავგადასავლის, საკუთარი ცხოვრების გმირები.

**4 მარტი. 2008. ეკა ბესელია, პოლიტიკოსი...** „ყოველთვის მესმოდა, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა და შინაგანად არ ვეთანხმებოდი. სწორადაც ვიქცეოდი. მას შემდეგ, რაც შუა პოლიტიკურ ქარცეცხლში აღმოვჩნდი, დავინახე, რომ პოლიტიკა იმგვარ „ელფერს“ იღებს, როგორი ადამიანებიც ქმნიან მას. ჩვენი ქვეყნის პოლიტიკას გულწრფელი, მართალი, პატრიოტი ადამიანები სჭირდება, ვისაც მართლა უყვარს ქვეყანა და ხალხი“.

**8 აგვისტო. 80 წლის რაფაელ ჩიმიშკიანი**. ძალოსანი: „დღეს სახლიდან არ გავსულვარ. მთელი დღე ტელევიზორთან ვზივარ. ოლიმპიური თამაშები დაიწყო და მთელი დღე შეჯიბრებებისთვის უნდა მეყურებინა. მაგრამ ვერ ვუყურებ. ჩემი გული ტირის. ახალგაზრდები იხოცებიან...“

**8 სექტემბერი. კობა სუბელიანი, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი:** „გათენდა და — ისევ იგივე მარშრუტი.

გორში ჩავედი და ასეთი ამბავი დამხვდა: ერთი კაცი სოფელში შეპარულა და სახლკარი გადამწვარი დახვედრია. ეზოში უპოვნია თავისი ხარები, 15 დღის მანძილზე უპატრონოდ ყოფილან და პატრონის დანახვაზე ზმუილი აუტეხიათ. კაცს ხარები წამოუსხამს და დილის 10 საათზე კარვებთან არ დამხვდა?! ხარებს, ბუნებრივია, კარვებში ვერ შეიყვანდა...

...ავდექი, ვთხოვე „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ და სამლარ-ნახევრად ვაყიდინე — ტონა-ნახევარი გამოვიდა. კმაყოფილი დარჩა ეს კაცი, აღებული ფულით გორის რაიონის რომელიმე სოფელში ეზოიანი სახლის ყიდვას შეძლებს.

მერე ხარები დავკალით და ხორცით ისევ კარვებში მყოფ ხალხს გავუმასპინძლდი...“

**მოკლედ, ასეთი საინტერესო ისტორიები წიგნში ბევრზე ბევრია. ასე ვიცოდი, სხვისი დღიურების კითხვა არ შეიძლებაო, — თუმცა, ყოველთვის ერთი სული მქონდა, ცალი თვალით მაინც ჩამეხედა.**

**ჰოდა, ჩავიხედე...**

**ნია ფიფია**

---

**ამა წლის 25 თებერვალს 14 საათზე გაიმართება სს „საქმეტალკომპანიის“ აქციონერთა საერთო კრება მის: კახეთის ჩიხი 23.**

დღის წესრიგი:

1. სს „საქმეტალკომპანიის“ ქონების, მიწისა და შენობანაგებობების მდებარე კახეთის ჩიხი 23 საწესდებო კაპიტალიდან ამოღება და გასხვისება.

II. სს „საქმეტალკომპანიის“ საწესდებო კაპიტალის შემცირება.

III. სს „საქმეტალკომპანიის“ იურიდიული მისამართის შეცვლა.

IV. წესდების ახალი რედაქციის მიღება.

---

## ყურადღება!

**ვაცხადებთ, რომ ციციკოვი ალექსანდრე ბორისის-ძე, დაბ. 16.05.1955 წ. მცხოვრები ქ. თბილისი, ვარკეთილი, ჯავახეთის კორ. 9ა, ბინა 28, გავიდა სახლიდან და აღარ დაბრუნებულა 2000 წ. 17 ოქტომბერს, თუ ვინმემ იცით მისი ადგილსამყოფელი გთხოვთ დარეკოთ ტელეფონზე 899 30-19-58.**

---

## ⊙ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: გთხოვთ, განგვიმარტოთ, რა განსხვავებაა ადმინისტრაციულ და სამოქალაქო სახელშეკრულებო დავებს შორის და როგორი წესით გადაწყდება თითოეული მათგანი?**

**ლევან კოხრეიძე**

**პასუხი:** ადმინისტრაციულ და სამოქალაქო სახელშეკრულებო დავებს შორის განსხვავება ისაა, რომ თუ ეს დავა საჯარო სამართლებრივია, ე.ი დაკავშირებულია სახელმწიფოს ამოცანასთან და მიზნებთან, მაშინ იგი გადაწყდება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ხოლო თუ დავა კერძო სამართლებრივია სამოქალაქო წარმოების წესით.

* * *

**კითხვა: გთხოვთ, ზუსტად მიგვითითოთ, როდიდან შევიდა ძალაში ახალი შრომის კოდექსი?**

**მერაბ ნამორაძე**

**პასუხი:** მოქმედი შრომის კოდექსი ძალაშია 2006 წლის 4 ივლისიდან (საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულია 2006 წლის 25მაისსძ.

* * *

**კითხვა: ამ ბოლო დროს ხშირად ახსენებენ სხვადასხვა სახის (მათ შორის ფრანშაიზინგის) ხელშეკრულებებს. იქნებ აგვიხსნათ, რა იგულისხმება ფრანშაიზინგის ხელშეკრულებაში. უფრო კონკრეტულად, გვაინტერესებს, მოკლევადიანია თუ გრძელვადიანი იგი.**

**ქეთევან კიკალეიშვილი**

**პასუხი:** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 607-ე მუხლის შესაბამისად, ფრანშაიზინგის ხელშეკრულება გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობაა, რომლითაც დამოკიდებული საწარმოები საჭიროების მიხედვით, ორმხრივად კისრულობენ ვალდებულებას. აქედან მნიშვნელოვნად ჩანს ხელშეკრულების გრძელვადიანობა და მხარეთა შორის უფლებამოვალეობათა ასეთი განაწილება აშკარად მიუთითებს, რომ ხელშეკრულება ორმხრივია.



**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

---

გახსენება

# მიხეილ იმერლიშვილის მონატრება



2005 წლის გაზაფხულის ერთ საღამოს თბილისში, მოსაშვილის ქუჩაზე, მესამე სართულის ერთ-ერთ ბინაში ყაჩაღების ბანდამ სასიკვდილოდ დაჭრა მამა-შვილი მიხეილ და ოთარ იმერლიშვილები, შვილი ბედად გადარჩა. მამა დაიღუპა. საქმე მაშინვე კი აღიძრა, მაგრამ ჩვენმა აგრერიგად ნაქებმა სამართალდამცავებმა ბანდის კვალს დღემდე ვერ მიაგნეს... დაელდიანებულ, დამწუხრებულ ოჯახს საბოლოოდ გადაეწურა მკვლელის პოვნის იმედი.

ამ დღეებში მიხეილ დავითის ძე იმერლიშვილი 83 წლისა გახდებოდა. თუ არა ყაჩაღი მკვლელის ტყვია, დღეს დაბადების დღე უნდა მიგველოცა ამ დიდებული ადამიანისთვის, რომელმაც მთელი ცხოვრება, როგორც მაღალკვალიფიციურმა იურისტმა, სიმართლისა და კანონიერებისთვის ბრძოლას მოახმარა. საქართველოში დღესაც ბევრია ისეთი მოქალაქე, ვისაც სამართალი საბოლოოდ სწორედ მიხეილ იმერლიშვილმა აპოვნინა. ამიტომ არის, რომ მის საფლავთან ოჯახის წევრებთან და შინაურ ჭირისუფლებთან ერთად ხშირად ნახავთ სრულიად უცხო ადამიანებს, რომელთაც მადლიერების ნიშნად ცოცხალი ყვავილები მიაქვთ და კეთილი სიტყვით იგონებენ ამ თავიანთ უანგარო კეთილისმყოფელს.

აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბატონი მიხეილი უაღრესად ბუნებათანაზიარი და საზოგადოებრივი ადამიანი იყო. პოეტის თქმისა არ იყოს, მუდამ იქ იდგა, სადაც ქარიშხალი ქროდა. იგი მეორე მსოფლიო ომში მთელი ოთხი წელიწადი ფრონტზე იბრძოდა, ომის შემდგომ კი როგორც ყველა პატრიოტი, სამშობლოს აღმშენებლობის ხარაჩოებზე იდგა.

დღეს ბატონ მიხეილის ძვირფასი ოჯახის წევრებთან ერთად კიდევ ერთხელ მივიტანთ ყვავილებს ამ დაუვიწყარი, დიდად ღირსეული ადამიანის სამარესთან და კიდევ ერთხელ ჩავძახებთ, რომ სამართალსა და სამართლიანობას კვლავინდებურად უჭირს საქართველოში.

ღმერთმა ნათელში ყოფნა არ მოგიშალოს, კეთილო და გულისხმიერო, ყველა გაჭირვებულის ხელის ამპყრობელო, ჭეშმარიტად ქართველო ადამიანო, ჩვენო ღვთისნიერო მეგობარო, ძვირფასო მიხეილ!

**შენი კაცურკაცობის მარადის დამფასებელი მეგობრები**

---

# სიმონ ყაველაშვილი



სიკვდილიც ვერ დაგვაშორებს, ჩემო ძმაო.

ერთი თვეც არ გასულა, შენი იმქვეყნად წასვლისა, ჩემო ძმაო სიმონ... თვე რაა, წლები გაივლის, ჩემი სიცოცხლის ბოლომდე ჩემთვის, ჩემი ოჯახისთვის, შენი ახლობლებისთვის, შენი ლამაზი და გონიერი ცოლ-შვილისთვის, მუდამ დაუვიწყარი იქნები... რა დამავიწყებს, შენთან გატარებულ დღეებს, წლებს. ჩვენ, ხომ ბავშვობიდან ერთად ვიზრდებოდით, სწავლა თუ ფეხბურთის თამაში იყო ჩვენი გატაცება... სიმონ ყაველაშვილი ლაგოდეხის ფეხბურთელთა გუნდის ლიდერი იყო, ხანმოკლე, მაგრამ შინაარსიანი ცხოვრებით იცხოვრა... სხვადასხვა დროს არაერთ პასუხისმგებელ თანამდებობაზეც იმუშავა და ყველგან დატოვა ღირსეული, კაცური კაცის სახელი...

დღეს შენი დაბადების დღეა, ჩემო ძმაო სიმონ, ყველაფერი კარგი მახსოვს შენგან და შენი დაბადების დღეს რა დამავიწყებდა... შენ ჩემთვის მუდამ ცოცხალი იქნები.

**ზურაბ გამეზარდაშვილი**

---

შვილები გიორგი, გულიკო გოგოლაშვილები, რძალი ნინო გელაშვილი, სიძე ბიძინა ხაჭვანი, შვილიშვილები თორნიკე, ვაჩე, თამთა გოგოლაშვილები, მამუკა ხაჭვანი, რძლები ციცო კირკიტაძე, ირინა ყურაშვილი, შვილთაშვილები ელენე, მირიანი, გიორგი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თამარ ივანეიშვილი-გოგოლაშვილი**

დაკრძალვა 8 II, 16 საათზე, მისამართი: ტყიბული, კურსები.

---

ალეკო ასლანიშვილი, გურამ გოგიაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია გულწრფელად თანაუგრძნობენ კოლეგასა და მეგობარს, პროფესორ გიორგი გოგოლაშვილს დედის

**თამარ ივანეიშვილი-გოგოლაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოგონებებისა და სამრეწველო ნიმუშების დეპარტამენტის თანამშრომელი

**დარეჯან ურთმელიძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

**რეკლამა** კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

სიახლე

# „ბერმუდის სამკუთხედები“ თუ საცობიდან თავის დახსნის ახალი საშუალება?



**რამდენიმე წლის წინათ დედაქალაქის ქუჩებში მოწყობილმა ე. წ. სამკუთხედებმა, რომლებსაც მძღოლთა უმეტესობამ „ბერმუდის სამკუთხედები“ შეარქვა, საცობები რომ შექმნა, განსაკუთრებით პიკის საათებში, ყველას მოგეხსენებათ.** მთელი საათი მოუნდებით ფილარმონიიდან გმირთა მოედანზე ჩასვლას, ხოლო უნივერსიტეტთან რომ მიხვიდე, ორასმეტრიანი მონაკვეთის ნაცვლად 3 კილომეტრამდე გიწევს გავლა.

ეტყობა ქალაქის მესვეურებმა, გვიან, მაგრამ მაინც გაითვალისწინეს ეს შეცდომა და დედაქალაქის მოედნებსა და გზაჯვარედინებზე ახალი სამკუთხედების მოწყობა დაიწყეს. ახლა კეკელიძის ქუჩიდან ჭავჭავაძის გამზირზე ხელმარცხნივაც შეგეძლებათ შეხვევა და გზის გაგრძელება. ასეთივე სამკუთხედები და შუქნიშნები კეთდება ალმაშენებლისა და თამარ მეფის გამზირების გადაკვეთაზე, კინოსტუდიის მახლობლად. მშენებელთა თქმით, სადგურის მოედნისკენ და აღმაშენებლის გამზირის ამ მონაკვეთიდან მარჯანიშვილის მეტროს მიმართულებით მძღოლებს საკმაოდ გაუადვილდებათ მოძრაობა.

აღდგომა და ხვალეო – უთქვამს ხალხს. ვნახოთ, როგორ შემცირდება საცობები თბილისის ქუჩებში ამ ახალი სამკუთხედების წყალობით. ურწმუნო თომა არ გეგონოთ, მაგრამ ახალ სამკუთხედებს თავად მძღოლები შეარქმევენ, ალბათ, ახალ სახელს.

**ელგუჯა ნადარეიშვილი.**



**სურათებზე: „სამკუთხედის“ მშენებლობა თამარ მეფისა და დავით აღმაშენებლის გამზირების გადაკვეთაზე; ახალი შუქნიშანი უნივერსიტეტის წინ ვარაზისხევთან.**

**ავტორის ფოტო.**

ინფორმაცია

# ქეისთვის პატარკაციშვილის ქონების გადაცემა უგულავას ულტიმატუმით მოხდაო

**ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის ფინანსური მრჩეველი მარკ ჰაუფი ვარაუდობს, რომ პატარკაციშვილის ბიზნესის ჯოზეფ ქეისათვის გადაცემაში საქართველოს ხელისუფლებაა გარეული.**

**როგორც ჰაუფი ამბობს, აგვისტოს ომის შემდეგ ქეისთან უშედეგო მოლაპარაკებებიდან ერთი თვის თავზე თბილისის მერის გიგი უგულავას ოფისში გამოიძახეს, სადაც უგულავამ მკაცრად მოსთხოვა, რომ ქეისთან შეთანხმებისთვის მიეღწია.**

– უგულავამ ულტიმატუმი წამოგვიყენა – ან 10 დღეში დათანხმდებოდა ოჯახი ქეის მოთხოვნებს ან „მთავრობამ იცის, რა უნდა გააკეთოსო“. უგულავამ მითხრა, ქეი ხელისუფლებას საჭირო დროს დაეხმარა და ხელისუფლებაც გააგრძელებს მის მხარდაჭერასო, – აცხადებს ჰაუფი.

მისივე განცხადებით, მანამდე მოლაპარაკებები ჰქონდათ ქეისთან, რომელმაც პატარკაციშვილის აქტივებზე საკუთარი მოთხოვნები წამოაყენა.

– ოჯახს უნდა შეეწყვიტა ბრძოლა საზღვარგარეთის სასამართლოებში ქეის წინააღმდეგ და ქეისთვის გადაეცა აქტივები. თუკი ოჯახი დათანხმდებოდა თითქოს მას პარკს დაუბრუნებდნენ და საქართველოში ბადრის სხვა ბიზნესის შევიწროვება შეწყდებოდა. თუმცა ამ გარიგებაში ტელეიმედი ბადრის ოჯახს არ უბრუნდებოდა და უარი უნდა ეთქვა არხის უკან დაბრუნებაზე, – აცხადებს ჰაუფი.

პატარკაციშვილი ოჯახის მრჩევლის თქმით, ოჯახი დარწმუნებულია, რომ პარკის წართმევა ოპოზიციის მხარდაჭერისათვის ბადრის დასჯას ემსახურებოდა, ტელეარხი კი დაიკავეს იმიტომ, რომ ოპოზიცია დაედუმებინათ.

ამავე გამოცემაში ბრალდებებთან დაკავშირებით კომენტარს აკეთებს გიგი უგულავა. თბილისის მერი არ უარყოფს ჰაუფთან და ინა გუდავაძესთან შეხვედრას. როგორც ის აცხადებს, მთაწმინდის პარკის ფუნქციონირება თბილისელებისთვის მნიშვნელოვანია. ვინაიდან პატარკაციშვილის ოჯახს შორის დავა იყო მემკვიდრეობაზე, მერიამ გადაწყვიტა, ინვესტორი თავად მოეძიებინა. შესაბამისად, გაფორმდა ხელშეკრულება „რაკენთან“, რომელიც იღებს ვალდებულებას, 1 აპრილისთვის გახსნას და წლის ბოლომდე სრულად აამოქმედოს პარკი.

**ინტერპრესნიუსი**

გვწერენ

# მადლობა კეთილ ადამიანებს

პატივცემულო რედაქცია,

თქვენი გაზეთის საშუალებით დიდი მადლობა უნდა გამოვუცხადო ქ. მერიას, ისან-სამგორის გამგეობას, პროფესორ მერაბ დვალს, მერაბ დვალის გლდანში არსებულ თვალის კლინიკა „ახალი მზერას“ ქირურგ ონისე ცერცვაძეს და მთელ პერსონალს, ვინც ჩემი თვალის სინათლის დაბრუნებაში მიიღო მონაწილეობა, ვინც ყოველგვარი ანგარების გარეშე, სითბოთი, სიყვარულით გამიკეთა თვალის ოპერაცია ა/წ 30 იანვარს.

ორი წელი გაჭირვებული ვიყავი. ტრავმის შედეგად დავკარგე მხედველობა.

კიდევ და კიდევ დიდი მადლობა.

ღმერთი იყოს ყველა კეთილი ადამიანის მფარველი.

დიდი სიყვარულით და პატივისცემით
**ლენა სოხაძე,**
პენსიონერი.

**რეკლამა** კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
**98-65-87; 899 32-85-76.**

კადრი



ანეკდოტები

სტუდენტი შვილი მშობლებს არდადეგებზე ესტუმრა. გამოაღო მაცივარი და ხედავს, რომ მის კედელზე გაკრულია „პლეიბოის“ გარეკანი, რომელზეც ულამაზესი შიშველი ქალიშვილია გამოსახული.

– დედი, ეს რა არის გაკრული? – კითხულობს გაკვირვებული.



– ფოტო? მე გავაკარი, რათა ნაკლები ვჭამო. ყოველთვის, როგორც კი მაცივარს გამოვაღებ საჭმლისთვის და ამ ფოტოს შევხედავ, გამახსენდება, რომ სწორედ მაგ ქალიშვილისნაირი საოცნებო ფიგურა მინდა მქონდეს.

– მერე გშველის?

– კიდეც მშველის და კიდეც – არა. მე კი დავიკელი ხუთი კილოგრამი, მაგრამ მამაშენი გასუქდა ათი კილოგრამით.

* * *

– ექიმო, – ეუბნება ბიზნესმენი ფსიქიატრს, – გახსოვთ, შარშან რომ მირჩიეთ, თუ გსურს, სულ სამსახურზე არ ფიქრობდე, გოგოებში გაერთეო?

– მახსოვს.

– ახლა ის მირჩიეთ, რა ვაკეთო იმისათვის, რომ სულ გოგოებზე არ ვიფიქრო და სამსახურისთვისაც მოვიცალო?

* * *

– გასაგებია! – ფაქტები უკვე გაგვაცანით, – ეუბნება მოსამართლე მოპასუხეს. ახლა ისიც გვითხარით, რა და როგორ მოხდა სინამდვილეში!

* * *

ზოგჯერ სჯობს ჩუმად იყო, სანამ დაარტყამდე.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი 98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოძულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.